# საქართველო

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მთავარი კომიტეტის ორგანო.

**რედაქცია და კონტორა:**
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 11 რედაქცია და კანტორა ღია ყოველ დღე დილის 9 ს., ნაშუადღევის 2 და ნახ. საათამდის. ტელეფ. № 15—73.
სამართი დეპეშებისთვის: თბილისი „საქართველო" ფოსტის ყუთი № 76

**განცხადებანი:**
განცხადება მიიღება ნაშუადღევის 1-ლ საათამდის. სტრიქონი პეტიტი პირველ გვერდზე 10 მ. მე-4 გვერდზე—8 მ.
სამგლოვიარო განცხადებანი 30 სტრიქონი—350 მ. 1-ლი საათის შემდეგ 200 მანეთით მეტი.

**ხელის მოწერა:**
გაზეთი „საქართველო" ქალაქსა და ქალაქს გარეთ ღირს თვეში—300 მან. ცალკე №—10 მ.

ყოველდღიური გაზეთი. | **სამშაბათი, ღვინობისთვის 12. 1920 წ. № 119** | ფასი 10 მანეთი



# ეროვნულ-დემოკრატიული
## პარტიის მთავარი კომიტეტი

მოთავსებულია კვლავ ძველ ბინაზე დამფუძნებელი კრების ქუჩა № 5. ქარვასლა.

მდივნის ნახვა შეიძლება დილის 8—12 და ნახ., საღამოს 7—9 საათამდე.

ღვინობისთვის 12-ს (ძველი სტილით) ზუგდიდის სული წმიდის მოფენის ეკლესიაში გადახდილი იქნება 5 წლის აღსანიშნავად პანაშვიდი ბრძოლის ველზე გმირულად დაღუპულის („ხორუზუის")

**საშა (ალექსანდრე) ჯანსუხის-ძის დადიშქელიანისა**

რასაც აცნობებენ ნაცნობთა და ნათესავთ უნუგეშო მისი მშობლები ანა ალექსანდრეს ასული და ჯანსუხ თენგის-ძე დადიშქელიანი. 3168 1—3

სახელმწიფო თეატრი

## ოპერა

12 ოქტომბერს

**აბესალომ და ეთერი**

მონაწ. მანდენოვა, ერმოლინსკაია, მაზუვეტკაია, ცინკი. კურჯი, სარაჯიშვილი, ვენაძე ქუმპურიძე, კურბატოვი, მოლოტოვი.

13 ოქტომბერს

**ევგენი ონეგინი**

წარმოდგენის დროს შესვლა საყურებელ დარბაზში აკრძალულია.
დასაწყისი 8 საათზე.
ოპერის დირექტორი: **ხ. ი. ევლახიშვილი**

## განცხადება.

1-ლ ოკტომბრიდან დაიწყო მოქმედება თბილისში სამონოპოლიო მატყლის საწყობმა, საიდანაც მატყლი გაიყიდება ბითუმად.

სოფლებში და ქალაქებში მატყლის მომხმარებელზე წვრილად გაყიდვა შეუძლიათ **მომხმარებელ კოოპერატივებს** და სადაც ამნაირები არ არიან—იქ **თემებს** და სხვა **საზოგადოებრივ ორგანიზაციებს.**

ზემო აღნიშნულმა ორგანიზაციებმა მატყლის შესაძენად უნდა მიმართონ

**მომარაგების სამინისტროს,**

რომლიდანაც, სრული საფასურის გადახდის შემდეგ, მიიღებენ ორდერს საწყობიდან მატყლის მისაღებად.

**შენიშვნა:** რესპუბლიკის ყველა კოოპერატივები საჭირო მატყლს მიიღებენ „ცეკავშირისაგან", რომელიც მატყლს იღებს მომარაგების სამინისტროდან.

**მატყლის ყიდვა-გაყიდვა კერძო პირთაგან აკრძალულია.**

სახელმწიფო საწყობში რესპუბლიკის შინაურ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად მატყლი იყიდება შემდეგ ფასებში:

ა) **საშუალო ღირსების, გაურეცხავი მატყლი 4,000 მ.**
ბ) **სუფთა—ახალგორის და სხვა რაიონების 4,500 მ.**

კოოპერატივები და სხვა ორგანიზაციები **ვალდებულნი არიან** ადგილობრივ **გაყიდონ მატყლი მომხმარებელზე, გადატანის ხარჯების და 10 პროც. საორგანიზაციო ხარჯების დამატებით.**

ყოველივე მოქალაქეს (მომხმარებელს) უფლება აქვს თვალყური ადევნოს, რომ მატყლის გამყიდველმა ორგანიზაციამ გადასატანი ხარჯები გაზვიადებულად არ იანგარიშოს.

მატყლის გამყიდავი ორგანიზაციები ვალდებულნი არიან მატყლი თვით მომხმარებელს მიყიდონ და ნორმალურად გაანაწილონ მატყლი თავიანთ რაიონში.

**შენიშვნა:** სართავ-საქსოვი ფაბრიკები მატყლს მიიღებენ სამინისტროს საწყობიდან.

**მომამრაგების სამინისტრო.**

63. 5—5.

ორშაბათიდან 11 ოქტომ. კინო თეატრ **აპოლლოში აჩვენებენ საქართველოს დემოკრატიის უდიდეს დღესასწაულს!**

დიდებული კინემოგრაფიული ლენტი „ცეკავშირის" ატელიისა ოთხ ნაწილად წარმოუდგენს ყოველ წვრილმანით შეფერადებულს

**ევროპის სოციალისტურ დელეგაციის ჩამოსვლას თბილისში და მათს მოგზაურობას საქართველოში**

15—29 ენკენისთვემდე.

ეს ერთ და ერთი დიდებული სურათია თავისი ისტორიული მნიშვნელობით და პირველი კიდევ იმ მხრივ, რომ იგი გვიჩვენებს მთელი საქართველოს ფშვანიერეს კუთხეებს აუარებელ ხალხს და ტომებს თავ-თავიანთი მრავალფეროვანი ზნეჩვეულობით.

**მთელი თანამედროვე საქართველო ეკრანზე არის.**

წარწერები ქართულ და რუსულ ენებზე.

1—3169—1

## სახელმწიფო ოპერა

დღიდან იწყება ბილეთების გაყიდვა (პარასკევს **15** ოქტომბრისათვის და ორშაბათს **18** ოქტომ.) საბალეტო საღამოებისთვის, რომელს მოსკოვის **სახელმწიფო თეატრი** პრემიერ **მიხეილ მორდკინის** ხელმძღვანელობით

კასა ღიაა 11 ს. ნაშუადღევის **3** ს. და საღ. **6** ს. **9** საათამდე.

## სახელმწიფო დრამის თეატრი

(ყოფილი არტისტიული—რუსთაველის პროსპექტი, № 21; ტელ. 8—07)

სეზონი 1920-1921 წლისა

პარასკევს, 15 ოკტომბერს

**გუშინდელნი.**

პიესა 3 მოქმედ. შალვა დადიანისა.

შემსრულებელნი: ვასილ აბაშიძე, ვერიკო ანჯაფარიძე, ვასილ არაბიძე, სუზანა ბეჟანიშვილი, მიხეილ გელოვანი, აკაკი ვასაძე, იუზა ზარდალიშვილი, მიხეილ ლორთქიფანიძე, ანდრია მურუსიძე, მიხეილ სარაული, პავლე ფრანგიშვილი, ან. ქიქოძე, ოლიმპიადა ლოლობერიძე, ელენე ციმაკურიძე, ნინო ჩხეიძე, მიხეილ ჭიაურელი.

რეჟისორი **მიხეილ ქორელი.**

დასაწყისი საღამოს **8** საათზე.

ბილეთები იყიდება დილის 11 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდის და საღამოს 6 საათიდან 10 საათამდე.

მოქმედების დროს დარბაზში შესვლა აკრძალულია.

**ანონსი:** შაბათს, ოკტომბრის 16-ს—„**გუშინდელნი**". კვირას ოკტომბრის 17-ს „**ედიპე მეფე**".

73. 1—1.

## მეცხვარეთა საყურადღებოდ

მატყლის შეგროვება, შენახვა, მოვლა მინდობილი აქვს მეცხვარეთა კოოპერატიულ ამხანაგობას „მწყემსს", რომლის საშუალებით მთავრობამ დაურიგა წინასწარი სესხი მეცხვარეთ.

ყოველი მეცხვარე, რომელმაც მატყლი ჩააბარა მთავრობას ამხანაგობა „მწყემსის" საშუალებით, იმ ორი ათასი (2,000) მანეთის გარდა, რომელსაც იღებს მთავრობიდან მატყლის ადგილობრივად საფასურად, მიიღებს აგრეთვე წმინდა მოგების ნაწილს და მაშასადამე, ის მატყლის საბოლოოდ განაღდებამდი ამ მატყლის პატრონად რჩება.

მატყლის განაღდებიდან მიღებული წმინდა მოგება განაწილდება შემდეგი წესით;

1. მეცხვარეობის გასაუმჯობესებელ თანხის შესაქმნელად (ფონდი) ერთი მეათედი მოგებისა, ე. ი. 10 პროც.

2. მეცხვარეს ამხანაგობა „მწყემსის" საშუალებით ოთხ ნახევარი მეათედი, ე. ი. 45 პროც.

3. სახელმწიფოს—მომარაგების სამინისტროს სახით ოთხ ნახევარი მეათედი, ე. ი. 45 პროც.

შეგროვილი მატყლით უპირველესად დაკმაყოფილებული იქნება რესპუბლიკის საშინაო მოთხოვნილება, მხოლოდ დანარჩენი მატყლი განაღდებული იქნება საზღვარ—გარეთის ბაზარზე.—

**მომარაგების სამინისტრო.**

## მეორე ქართული კლუბი

გადავიდა

## საზამთრო ბინაზე

10 ოქტომბერს


## ერთა ლიგა.

ჩვენ ძალიან ცოტა ყურადღებას ვაქცევთ ერთა ლიგას და მის მნიშვნელობას მსოფლიო ისტორიაში.

ერთა ლიგა არის საზოგადოება თავისუფალ ერებისა. შემუშავებულია მისი ძირითადი დებულება, რომელზედაც ხელი უწერია 32 სახელმწიფოებს და 13 სახელმწიფო კიდევ მოწვეულია შევიდეს წევრად ამ ლიგაში. ამ რიგად თითქმის მთელი კაცობრიობა თავმოყრილია, ლიგაში ჯერჯერობით არ შედიან მხოლოდ გერმანია, ავსტრო-უნგრეთი, ბულგარეთი და ოსმალეთი. არ შედის კიდევ რუსეთი, როგორც ბოლშევიკური ქვეყანა, მაგრამ ყველა ამ ქვეყნებს უფლება აქვს ბოლოს შევიდნენ წევრად, თუ გაიზიარებენ ერთა ლიგის ძირითად დებულებებს.

ჩვენთვის საინტერესოა სწორედ ეს ძირითადი დებულებანი. ერთა ლიგას საფუძვლად უდევს ორი პრინციპი—ეროვნული თავისუფლება და დემოკრატიზმი. მაშასადამე, ერთა ლიგა არის არც სახელმწიფოთა სახელმწიფო, არც ფედერაცია სახელმწიფოებისა. იგი არის—საზოგადოება, რომელშიდაც ყველა წევრი დიდია იგი, თუ პატარა, თანასწორია და თავისუფალი. დაცულია სუვერენობა თითეული სახელმწიფოსი და რაიმე ვალდებულების მიღება დამოკიდებულია მხოლოდ თავისუფალ შეთანხმებაზე.

მიზანი ერთა ლიგისა არის „განვითარება თანამშრომლობის ერთა შორის და გარანტია მშვიდობიანობის და უზრუნველყოფისა". ამისთვის საჭიროა—ამბობს შესავალი ერთა ლიგის დებულებისა—მიღება ზოგიერთი ვალდებულობისა, რომ არ მივმართოთ ომს; წარმოება საერთაშორისო პოლიტიკისა არა ფარულად, თანახმად სამართლის და სინიდისისა; მკაცრად ასრულება საერთაშორისო უფლების მოთხოვნილებისა, დამყარება სამართლისა და ასრულება ვალდებულებათა ხალხთა ურთიერთობაში.

მე 10 მუხლი ამბობს: „წევრნი ლიგისა პირობას სდებენ ხელი არ შეახონ და დაიცვან ყოველი გარეგანი თავდასხმისაგან ტერიტორიული მთლიანობა და პოლიტიკური დამოუკიდებლობა ლიგის ყველა წევრებისა".

აქედანა სჩანს, რომ მიზანი ერთა ლიგისა მეტად დიდია და მეტად მნიშვნელოვანი. თანაც ეს ლიგა უბრალო კონგრესი კი არ არის უპასუხისმგებლო პირებისა, არა, ეს არის ლიგა თავისუფალ ერების, ე. ი.—სახელმწიფოებისა. სახელმწიფო კი აღჭურვილია მილიტარული ძლიერებით. ამიტომ დადგენილება ერთა ლიგისა, უკვე არის უფლებრივი ნორმა, რომელსაც თან ახლავს დიადი ავტორიტეტი და მნიშვნელოვანი სანქცია.

ჩვენ კი ვებლაუჭებით რაღაც „ინტერნაციონალს", რომელიც მოკლებულია უფლებრივ ნიადაგს, და არა აქვს არავითარი ძალა და მნიშვნელობა. „ინტერნაციონალი" კი არა, ჩვენ გვიხსნის

# დღეს:

პოლიტიკური ცნობებით უკრაინაში ბოლშევიკების წინააღმდეგ დიდი აჯანყებაა.

ამერიკის სოციალისტურმა პარტიებმა ერთხმად უარჰყვეს პროლეტარიატის დიქტატურა.

ვრანგელის მთავრობა დამოუკიდებლობას იცნობს იმ შემთხვევაში თუ პეტლიურა ვრანგელთან ერთად წავა ბოლშევიკების წინააღმდეგ.

ესტონიის მთავრობა გადადგა.

სომხებმა სარიყამიში დაიბრუნეს.

## წ ე რ ი ლ ე ბ ი:

მეთაური: ერთა ლიგა.
პრესა: ,,ერთობა'', ,,ახალი სხივი''
მომარაგების სამინისტროში.
ფელეტონი: დ. კ-ძე: ბელგეთის მომავალი.

---

მხოლოდ ერთა ლიგა და ყოველი ღონე უნდა ვიღონოთ, რომ საქართველო შევიდეს იმ ლიგაში. ჩვენმა საპარლამენტო ფრაქციამ უკვე აღძრა ეს საკითხი დამფუძნებელ კრებაში და იმედი გვაქვს, დამფუძნებელი კრება ამ საკითხს შესაფერი ყურადღებით მოეპყრობა და იმ მიღებულ ვალდებულების შეგნებით, რომელიც მას არგუნა ისტორიამ.

ერი ან უნდა მოქმედებდეს, ან უნდა გაჰქრეს... მოქმედება შეიძლება მხოლოდ უფლებრივ ნიადაგზე. ამ ნიადაგსა ჰქმნის ერთა ლიგა. ვისაც კი უნდა სიცოცხლე, შრომა და მოქმედება, —აი გზა, ვრცელი და დიდი, მსოფლიო განვითარებისა.

## სიმპტომები და მიზეზები.

1.

მთავრობის თავმჯდომარე კეთილი სურვილებით არის გამსჭვალული. ვფიქრობთ, რომ ის ერთი გულ-წრფელი ადამიანი უნდა იყოს. მაგრამ მხოლოდ კეთილი სურვილები არ კმარა ცხოვრების გასაუმჯობესებლად. საჭიროა კიდევ სხვა რაღაც, რაც მთავრობის თავმჯდომარეს, ეტყობა, აკლია.

ამას ჰმოწმობს ორი მისი ეხლახან გამოცემული ბრძანება. მიუხედავად იმისა რომ ეს ბრძანებები სხვა და სხვა საკითხს, იდეოლოგიური სარჩული მათ საერთო აქვთ.

პირველს თავის ბრძანებაში მთავრობის თავმჯდომარე აღნიშნავს, რომ ადმინისტრატიული ორგანოები ჯეროვნად არ ასრულებენ თავის მოვალეობას. ამის მოსასპობად მთავრობის თავმჯდომარეს საკმაოდ მიაჩნია გააფთხილოს თავისი ხელ ქვეითნი, მოაგონობს მათ, რომ სახელმწიფოში არის უფროსი, რომლის წინაშე პასუხს აგებს ყოველი წარმომადგენელი ადმინისტრაციისა.

მეორე ბრძანება უფრო კერძო ხასიათის არის. ის ეხება პურის დამზადებას მთავრობის თავმჯდომარის მიერ დანიშნულმა რევიზიამ აღმოაჩინა მრავალი უწესობა სასურსათო უწყებაში. მთავრობის თავმჯდომარის ბრძანებით ბოროტ-მოქმედი მოხელეები, რომელთა წყალობით პურის მაგივრად ხალხს ტალახის მზგავსი სურროგატი ეძლევა დათხოვნილი არიან სამსახურიდან.

ამ ორ ბრძანებაში ნათლად გამოსჭვივის მთელი პროგრამმა სოციალ დემოკრატიისა: პროგრამმა მინიმუმიც და პროგრამმა—მაქსიმუმიც. საინტერესოა აშის გამო მათი დაკვირვებული განხილვა.

ჩვენ არც პირველი, არც მეორე ბრძანება მთავრობის თავმჯდომარისა არ გვაკმაყოფილებს. ორივე ბრძანება ჩვენი ცხოვრების მოვლენათა სიმპტომებს ეხება მიზეზებზე კი სდუმს. სიმპტომი, მართლაც, ადვილი შესამჩნევია. მაგრამ სიძნელე მის აღნიშვნაში როდია. არც სიმპტომების მოსპობაა ეს სიძნელე. დღეს მოსპეთ თუ გნებავთ, არასასურველი სიმპტომი, მაგრამ, ეს სიმპტომი კვლავ აღორძინდება.

აი სწორედ ამიტომ ჩვენ არ ვამყარებთ დიდს იმედებს მთავრობის თავმჯდომარის ბრძანებაზე. ჩვენ არა ერთხელ აღვინიშნავს, რომ ადმინისტრაციის უვარგისობა დამოკიდებულია იმაზე, რომ საქართველოს არ ყავს ღირსეული კანონმდებელი. ძველი კანონები რევოლიუციამ საერთოდ უარჰყო. მათ არავინ უწევს დღეს ანგარიშს. თვით ჩვენი მთავრობის წევრებსაც აშკარად აქვთ ეს კანონები აგდებული. სხვებზე ლაპარაკიც ხომ ზედმეტია.

ამ მიზეზის გამო მთელს მართვა გამგეობას საქართველოში დაეკარგა სისტემის ხასიათი. დღეს მოახდენენ ხოლმე ერთს განკარგულებას, ხვალ მოახდენენ მეორე განკარგულებას, რომელიც დიამეტრალურად ეწინააღმდეგება პირველს.

კანონის არ—არსებობის გამო საკითხის გადაჭრაში მთავარი მომენტის როლი პირად შეხედულებებს ეკუთვნის: კეთდება არა ის, რაც საჭიროა საზოგადოებისათვის, არამედ ის, რაც სასარგებლოა ამა თუ იმ პიროვნებისათვის. არასდროს, თვით უუსაშინელეს რეაქციის ხანებში, პიროვნულ განწყობილებას არ ქონდა ადამიანის ბედ—იღბალზე მეტი გავლენა, ვიდრე მას აქვს დღეს საქართველოში. შჩედრინის საზოგადოება ჩვენთვის საოცნებო იდეალია. შეიძლება თქვენ, საქართველოს მოქალაქე, ცამდის მართალი იყოთ, მაგრამ თუ რომელიმე წვრილფეხა პამპანდური არ გწყალობთ, მშვიდობით, თქვენი სიმართლე დაკარგულია.

თუ რამდენად დაჩაგრულია ამ მოვლენით სოფლის გლეხობა (ქალაქზე ხომ ლაპარაკიც არ ღირს), ეს, შეიძლება, ყველას კარგად არ მოეხსენება. მართლაც, სოფელი დღესაც სდუმს ისე როგორც სდუმდა თვითმპყრობლობის დროს. დრო გამოშვებით გამართული მიტინგები, რომლების რეზოლუციები ასე გულმოდგინეთ იბეჭდება სოციალისტების ორგანოებში, მხოლოდ უსუსურ ბავშვს თუ მოატყუებენ. ჩვენ კარგად ვიცით ამ რეზოლუციების მნიშვნელობა, რომელიც ბევრად არ სჭარბობს ღირებულებას ძველ დერჟიმორდების ცნობილ ფორმულისას: все обстоитъ благополучно.

ხალხის მასსა ამ მიტინგებზე გამოყენებულია როგორც უსიტყვო პასსივი მასალა. თვით იდეა მიტინგისა ქართულ სოფელში უაზრო მეტიჩრობაა: მიტინგი გულისხმობს მასს ის თვითმოქმედებას და გაწრთვნილ საზოგადოებრივ აზროვნებას, ე. ი. იმას, რაც ქართულ სოფელს დღეს დღეობით აკლია.

## პ რ ე ს ა.

ეკონომიური კატასტროფა მთელის საშინელებით აღიმართა ჩვენ წინაშე! ვგრძნობთ ყველანი, რომ თუ კიდევ ცოტა ხანს ასე გასტანა და მცირედი გაუმჯობესობა მაინც არ დაეტყო გამეფებულ არევდარევას და შიმშილის აჩრდილი შეძრწუნებულ ხალხს არ მოსცილდა,—საქართველო ხიფათს ვერ მოიშორებს თავიდან და შეიძლება მოპოვებული თავისუფლებაც ამ ეკონომიურ კრიზისს თან გადააყოლოს...

ეკონომიური არევდარევა, ხალხის უაღრესი გაღატაკება რესპუბლიკის დამასამარებელ ფაქტორად გარდაიქცევა, თუ ზომები **დღესვე გადაუდებლად** არ იქმნა მიღებული.

უდიდესი ეროვნული უბედურება დაგვატყდა თავს! შიმშილს განიცდის მთელი ხალხი მცირეოდენი ნაწილის გამოკლებით. ჩვენი ქვეყანა ამ გარემოების გამო ერთს დიდ საავადმყოფოს მიემსგავსება, სადაც თავმოყრილი არიან ყველა ჭურის სენით დაავადმყოფებული ადამიანები—და ეს კი ჰქმნა გამუდმებულმა შიმშილმა და სიღატაკემ.

უნდა ვუშველოთ საქმეს! იმედ მიხდილი ხალხი სასოწარკვეთილებას მოუცვია, აღარ იცის ვის მიჰმართოს შველისა და დახმარებისათვის. ვხედავთ-კი რომ არაფერი კეთდები დამშეულ ხალხის სახეიროდ: პირიქით საათობით და წუთობით მივექანებით უეჭველ დაღუპვისაკენ...

თქმა არ უნდა, ღრმა მიზეზებიც არსებობენ, რომელნიც ხელს არ უწყობენ ჩვენი ქვეყნის აღორძინებას, მაგრამ ისიც ცხადია, რომ ბევრს შემთხვევაში თვითონ ჩვენ ვაუარესებდით მდგომარეობას და ძლიერ ხშირად უგუნური მოქმედებით და ბოროტგანზრახვით იმასაც ვანგრევდით, რაც მზამზარეულად დაწყობილი და განმზადებული მემკვიდრეობით მივიღეთ. ვინ არ იცის, რომ სოციალდემოკრატების მართველობამ, მისგან დაკანონებულმა მტაცებლობამ და მისი აგენტების ყოვლად საზიზღარ მოქმედებამ მიახლოვებული კატასტროფა ზედ კარზე მოგვიგორა და საგონებელს მიაცემინა ისედაც გაძვალტყავებული ხალხი. სოციალ-დემოკრატები ორნახევარი წლის მანძილზე თავისებური მეთოდებით განაგებდნენ საქართველოს და ლამობდნენ სოციალისტურ წყობილების ეხლავე დამყარებას თუ არა, მოახლოებას მაინც. შედეგი? უკიდურესი გაღატაკება მთელი ერისა, დაცემა ვაჭრობა-მრეწველობისა, სრული შეჩერება წარმოებისა და... უსაზღვრო თავხედობა ბნელი აგენტებისა.

მენშევიკები ეხლა ცდილობენ წამხდარი საქმის გამოსწორებას და ისეთი ზომებისაკენ მოუწოდებენ თვის მიერ დაყენებულ მმართველობას, რომ სულ ყირამალა ტრიალდება მათი წარსული შრომა და ცდა!

აი მოისმინეთ, რას ბრძანებას გაზეთი ,,ბორბა'', რომელსაც მთელი ამ ხნის განმავლობაში კონფისკაცია და რეკვიზიცია ეკერა პირზე:

,,დაბოლოს სრულიად გარკვეულად უნდა ითქვას. რომ მიმდინარე სინამდვილის კონკრეტიული პირობებში რესპუბლიკის არ ძალუძს არ მიჰმართოს კერძო ინიციატივას და არ მოიხმოს უცხო ქვეყნების კაპიტალი''...

ამ ზომებისაკენ ჩვენ მოგიწოდებდით, ბატონო მენშევიკებო, ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც საქართველო მთლად არ იყო გაღატაკებული და დაქვეითებული თქვენი უნიჭო მართვით...

ეხლა ძნელია მდგომარეობის გამოკეთება. მთელი ხალხი ილაჯგაწყვეტილია და მხოლოდ იმაზე და ჰფიქრობს როგორც ,,ერთობა'' გადმოგვცემს, რომ სიცოცხლე შეურჩინოს ,,მშიერ ბავშვებს და სა მელად სავარგისი პურის ნაჭერი იშოვოს''... იმავ გაზეთის აზრით, ისე საშინლად ყოფილა მოშლილი მთელი მექანიზმი სახელმწიფოისა, რომ წესიერსა და ნაყოფიერ მუშაობაზე ფიქრიც წარმოუდგენელ ა. ქარხნები შეჩერებულია, კანცელარიებში ნამდვილი ქაოსია გამეფებული! ჰარაქათ გამოლეულ მოსამსახურეებს და მუშებს გონება აებნიათ და მათი მთელი გულისყური მხოლოდ იმას შთაუნთქავს, რომ რაც შეძლება მეტი გამოსთხოვოს სახელმწიფოს ხაზინას...

,,ერთობა'' მოუწოდებს ყველა პარტიებს შეერთებისაკენ, რომ საერთო ღონით დაძლეულ იქნეს ეროვნული გაჭირება. გაზეთი ისე გატაცებულა ,,ლუკმა პურის'' საკითხით, რომ ივიწყებს ყველაფერს და ყველაფერზევე უარს ამბობს: გაზეთი ურჩევს რესპუბლიკას... ,,ხელი ავიღოთ... ზოგიერთ სამხატვრო და ისტორიულ ღირებულებებზე, ოღონდ კი გადავარჩინოთ სახელმწიფო ამ კატასტროფიული მდგომარეობას''... გაკრეტინებულ მენშევიკებს ჰგონიათ, რომ რესპუბლიკამ დაჰკეტა ეროვნული გალერეი, უარი განაცხადა ახალ სკოლების შენებაზე და მცხეთის ტაძარი წვიმასა და ქარს მიანება შესამუსრავად, ხალხი გაძღება და ქვეყანაც აშენდება:

ასე გენიოსურად უვლიან სოციალდემოკრატები ეკონომიურ საკითხს, სრულებით დაჯერებულნი თავისი რეცეპტებისვარგისობაში.

რესპუბლიკამ ხალხიც უნდა გამოკვებოს და ისტორიული ნაშთებიც უნდა დაიცვას. ჩვენს დამოუკიდებლობის საბოლოო ცნობას საქართველოს წარსული დროის რომელიმე შესანიშნავი ძეგლი უფრო უშველის, ვიდრე ,,ერთობის'' გამაძღარი თანამშრომელი.

—

„ერთობა" მიჰხვდა თავის უიმედობას, დაატყო, რომ ყოველი მისი პასუხი ზედმეტად ტფლობა წუმპეში, მაგრამ რადგანაც მის თანამშრომლებს წვრის სალერღელი ძველიდანვე აშლილი აქვთ, მაინც „გვიპასუხებს''.

ჩვენს წინა წერილებში აღნიშნული გვქონდა მოავალი ზიანი, სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ რომ მიაყენა საქართველოს—ზოგჯერ გამოუცდელობით ან უვიცობით, ზოგჯერ-კი შეგნებულად. უკანასკნელ წერილში ჩვენ ვეხებოდით აზერბაიჯანის საზავო პირობებს და ვამტკიცებდით, რომ ბრძოლის ველზე გამარჯვებით დაწყებული საქმე სოციალ-დემოკრატებმა ,,სამშვიდობო'' მოლაპარაკებით სამარცხვინოდ წააგეს. იმის მაგივრად რომ ეს ყველასათვის აშკარა ფაქტი უარჰყოს ფაქტებითვე, ,,ერთობა'' ლაზღანდარულად ჩვენს გულში ფ თურობს: დაგვარწმუნეთ თქვენს ულწრფელობაშიო! მართლაც უიმედონი უნდა იყვნენ ეს ადამიანები, თუ ასეთ ამოკვნესას არგუმენტის მნიშვნელობას აძლევენ...

ჩვენ კიდევ ვიმეორებთ, რომ აზერბაიჯანთან ომი დიდს პრობლემებს უსახავდა საქართველოს სახელმწიფოებრიობას! ამას ამტკიცებდა ის პატრიოტული აღგზნება, რომლითაც მოცული იყო მთელი ქართველი ხალხი განურჩევლად, მაგრამ მენშევიკებს ალბად შეეშინდათ საქართველოს ნაციონალისტურ სახისა და მის გრანდიოზულ მანიფესტაციაში ინტერნაციონალისტების ... ... იხილეს... მენშევიკებმა „დროზე" მოუღეს მუხრუჭი და გაქანებული იდეაც მენშეიკურად მოიღუნა...

აღმოსავლეთი საქართველო ისევ გაფარღალალებულია, ხოლო მისი საუკეთესო ნაწილი—საინგილო დღესაც მტრის სათარეშოა... განა ომის პროცესსიდან გამომდინარეობდა ასეთი მდგომარეობის გაგრძობა!? „ერთობა"-კი მოგვდგომია და ცინიკურად გვეკითხება: „როდემდის გაგვეგრძო ომი, სანამ მოსკოვს მივაღწევდითო"?

მოსკოვამდის „განმაც" მიაღწია, მაგრამ ამით საქართველოს ხეირი არ დაჰყრია! ჩვენ გვსურდა მიგვეღწია იქამდის, სადაც თავდება საქართველო და იწყება უცხოეთი...

—

## ,,ახალი სხივი'' ბათომის ოლქის შესახებ.

ოპოზიციონურ სოციალ-დემოკრატების გაზეთ ,,ახალ სხივში'' მოთავსებულია წერილი, რომელშიაც აწერილია სოციალდემოკრატების მოქმედება ახლად შემოერთებულ ბათომის ოლქში. მოგვყავს ზოგიერთი ადგილები ამ წერილიდან:

თუმცა მთავრობის არჩევანი საგანგებო კომისარისა იყო, როგორც იტყვიან не изъ ударныхъ მაგრამ скрѣпя сердце, ყველა შეურიგდა ამ გარემოებას იმ იმედით, რომ საერთო ძალ-ღონით ყოველ ნაირი დაბრკოლება ძლეული იქნებოდა.

ჩვენ განვლეთ შემოერთების შემდეგ სამი თვე სახელმწიფო მუშაობისა ბათუმსა და ბათუმის ოლქში და, ჩვენდა სამწუხაროდ, უნდა გამოვტყდეთ რომ ამ მუშაობას ბევრა დიდი ნაკლი და შეცდომები ახლავს, რომელთაც ახლავე, სანამ გვიანი არ არის, გამოსწორება ჭირიაa

გაზეთი გულის წყრომით აღნიშნავს, რომ ოსმალეთის საფრთხის ჟამს ბათომში მომქმედნი არაფერს აკეთებდნენ მცხოვრებთა საქართველოსთან შესაკავშირებლად.

საგანგებო კომისარმა ვერც სამეჰმადიანო საქართველოს ადგილობრივ მოღვაწეებთან მონახა საერთო ენა. კარგი, ვთქვათ, მეჯლისი არ იყო საჰმადიანო საქართველოს ნამდვილი წარმომადგენლობა, (თუმცა გაჭირვების დროს, როდესაც ბათუმისთვის ეკრონის წინაშე ვიბრძოდით, პირზე გვეკრა მეჯლისი, როგორც სამუსლიმანო საქართველოს ნების გამომხატველი), იგი მარტო ბეგებისგან შესდგება და დაშლა უნდოდა, მაგრამ ყველაფერს თავისი ფორმა აქვს, და მეჯლისის მუშაობის შეწყვეტაც ხომ შეიძლებოდა სხვანაირად—ყველასათვის მისაღებ წესით მომხდარიყო! ამას გარდა რა მიზეზი იყო, რომ გაზ. ,,ამუსლიმანო საქართველო'' დახურა საგანგებო კომისარმა?

ერთი ძველი გამოჩენილი მოღვაწე სამაჰმადიანო საქართველოსი თვალცრემლიანი სჩიოდა: ასეთ პოლიტიკას შეუძლია დაღუპვის კარამდი მიიყვანოს ის საქმე, რომლისთვინაც ამდენი მსხვერპლია გაღებულიო.''

... ახლა არ ვკითხავთ ადმინისტრაცია როგორ არის ოლქში მოწყობილი? ნახევარზე მეტი მოსამსახურეებისა ავანტიურისტებია...

ამ ჟამად დანიშნულია აქ მთელი ოლქის ადმინისტრაციის უფროსად ბ წისულაქველიძე.

*) რესპუბლიკა როგორც გავს მხოლოდ ორ კაცზე ყოფილა დაყრდნობილი: ჩხიკვიშვილზე და სულაქველიძეზე ერთია თბილისის ქალაქის თავი, მეორე —თბილისის მილიციის უფროსი. ორივე ბათუმშია დანიშნული ჩვენი აზრით შეიძლებოდა სხვა, უფრო შესაფერი პირების გამოძებნა ამ თანამდებობაზე. ალბად მთავრობას ჰგონია რომ თბილისში ჩინებულად არის ქალაქის და მისი მილიციის საქმეები და აქაური უფროსები იქით აგზავნის. თუ თბილისის ქალაქის გამგეობის წევრები და აქაური კომისრებიც მიემატებიან ბ. ჩხიკვიშვილს და სულაქველიძეს მაშინ სურათი სრული იქნება...

ასეთ პოსტზე რაკი ადმინისტრაციის საკითხი პოლიტიკურ საკითხადაა ოლქში გადაქცეული, დიდი წინდახედული კაცი იყო საჭირო; ურა ხალხი აქ ისედაც ბევრია.

ერთობ მდგომარეობა თან და თან რთულდება, ჯერ კიდევ შეიძლება შეცდომების გამოსწორება.

აუცილებლად საჭიროა ადგილობრივ მოღვაწეებთან და ხალხთან საერთო ენის გამონახვა. ადმინისტრაციის და მართვა-გამგეობის ორგანოების მოწყობა ოლქში, წინდახედული და ფრთხილი ნაბიჯები. საგანგებო კომისარი ბ. ჩხიკვიშვილი აუცილებლად გაწვეულ უნდა იყვეს აქიდან. საჭიროა მის ადგილზე ისეთი პირი, რომელიც აქაურ სულისკვეთებას გაიგებს და ამავე დროს სახელმწიფო ინტერესების მიხედვით შესაფერ პოლიტიკას გაატარებს მთელი ოლქის ცხოვრებაში''.

ამ წერილისათვის კომენტარიების მიძღვნა ბ ნ ,,განისთვის'' მიგვინდია...

## ეროვნულ-დემოკრატიული ფრაქციის წინადადება.

ეროვნულ-დემოკრატიული ფრაქციის დავალებით, ბ. გიორგი გვაზავამ შემდეგი წინადადება შეიტანა დამფუძნებელ კრებაში, შესახებ ერთა ლიგაში წარმომადგენლების გაგზავნისა:

### მოტივები წინადადებისა.

საქართველოს არსებობისათვის ძირითადი საკითხია—მისი შესვლა საერთაშორისო ოჯახში, როგორც ამ ოჯახის სრულუფლებიანი წევრის. ამისათვის უწინდელი საერთაშორისო უფლების ძალით საჭირო იყო იურიდიული ცნობა ახალი სახელმწიფოსი სხვა სახელმწიფოების მიერ. თვითონ ეს ცნობა ხდებოდა უფრო შემთხვევით, თითეულ სახელმწიფოსი სურვილისა ან ინტერესის მიხედვით, ან იმისდა მიხედვით, თუ რა ეკონომიურ ინტერესს ან მილიტარულ ძალას წარმოადგენდა ახლად დაბადებული სახელმწიფო.

ეხლა, მსოფლიო ომის შემდეგ, გარემოება გამოიცვალა, გამოიცვალა პრინციპი ცნობისა და თვით პროცედურა მისი გატარებისა. ამ საერთაშორისო შეთანხმების შესახებ, ჩვენ გვაქვს ეხლა უდიდესი ისტორიული აქტი—ხელმოწერილი 45 სახელმწიფოთა მიერ. ეს გახლავსთ „დებულება ერთა ლიგისა".

პირველივე მუხლი ამ დებულებათა ამბობს: „ყოველი სახელმწიფო, სამფლობელო ან ახალშენი, რომელსაც კი აქვს თავისუფალი მართვა-გამგეობა, შეიძლება გახდეს წევრი ერთა ლიგისა, უკეთუ მისი მიღება გადაწყვიტა ორმა მესამედმა კრებისამ, ოღონდ კი დასდოს ნამდვილი გარანტია თავის გულწრფელი განძრახვა აღასრულოს საერთაშორისო ვალდებულებანი და იკისროს ლიგის მიერ მიღებული წესრიგი შესახებ მისი ძალების და მისი სამხედრო, საზღვაო და საჰაერო იარაღ ასხმულობისა".

ამ მუხლში არ არის ერთი სიტყვაც ისეთი, რომელიც რომ გზას ულობავდეს საქართველოს რესპუბლიკას ეხლავე შევიდეს ერთა ლიგაში. ერთად ერთი მოთხოვნილება სახელმწიფოს ან სამფლობელოსათვის არის—თავისუფალი მართვა-გამგეობა. ჩვენ კი არავართ არც სამფლობელო, არც ახალშენი, ჩვენ ვართ დემოკრატიული რესპუბლიკა, ჩვენა გვყავს დამფუძნებელი კრება, არჩეული საყოველთაო კენჭის ყრით და პროპორციული სისტემით... მაშასადამე, ეხლანდელი საერთაშორისო პრინციპის ძალით. ჩვენ გვაქვს სრული უფლება ეხლავე ავძრათ საკითხი ერთა ლიგაში ჩვენი მიღების თაობაზე.

ვინაიდგან ერთა ლიგის დებულების საფუძვლად უდევს ორი იდეა—ეროვნული თავისუფლება და დემოკრატიზმი, ეჭვი არ არის, ჩვენ მივიღებთ ორ მესამედს ყველა ხმებისას, ერთა ლიგის საზოგადო კრებაში. მეხამე მუხლის ძალით, თითეულ სახელმწიფოს, დიდია იგი თუ პატარა, ჰყავს სამ-სამი წარმომადგენელი და აქვს მხოლოდ ერთი ხმა. ამ 45 სული ხმიდან ვინ იქნება ჩვენი წინააღმდეგი? რუსეთს და ოსმალეთს ეჭ ჯერ ხმა არა აქვს. დარჩა მხოლოდ ჩრდილო ამერიკის შეერთებული შტატები, რომლის ხმამ შეუძლებელია გადაიბიროს ორი-სამი ხმის მეტი (თუ ვინიცობაა, მან განაგრძო თავის ანტი ქართველური პოლიტიკა.). ჰრჩება კიდევ ორმოცამდე სახელმწიფო, რომლებიც, რასაკვირველია, გვერდს ვერ აუხვევენ (ისე, როგორც თვით ამერიკაც) ელემენტარულ საერთაშორისო სამართალს, როცა დაწვრილებით გაიგებენ: ა) ჩვენს წარსულ ისტორიას, ბ) ჩვენს ხელშეკრულებას ყოფილ რუსეთთან, გ) ჩვენს ეროვნულ და ტერიტორიალურ მთლიანობას და დ) ჩვენს ეხლანდელ დემოკრატიულ წყობილებას.

ამ ნაირად ჩვენ მივაღწევთ ერთა ლიგაში: ეს იქნება იმავე დროს მთელი მსოფლიოს მიერ ცნობა დამოუკიდებელი საქართველოსი.

### წინადადება.

ამ მოსაზრებათა გამო ვპატივცემით ვთხოვ საქართველოს დამფუძნებელ კრებას სასწრაფოდ მიიღოს შემდეგი დადგენილება:

1. საქართველოს რესპუბლიკის დამფუძნებელი კრება, არჩეული ერის მიერ საყოველთაო კენჭის ყრით და პროპორციული სისტემით, ამით აცხადებს, რომ იგი სრულ გარანტიას იძლევა გულწრფელად აღასრულოს ყოველი ბრძანება და საერთაშორისო ვალდებულება, გამოწვეული ერთა ლიგის მიერ, თანახმად მისი ძირითადი დებულებისა.

2 საქართველო ჰთხოვს ერთა ლიგის საზოგადო კრებას სათანადო დადგენილებას მიიღოს საქართველო ერთა ლიგაში, როგორც წევრი ამ ლიგისა.

3. საქართველოს წარმომადგენლებად ერთა ლიგაში დამფუძნებელი კრება ირჩევს A. B. და C.

4. დაევალოს რესპუბლიკის მთავრობას დაუყონებლივ აირჩიოს ოთხი წარმომადგენელი, თანახმად 389 მუხლის ვერსალის ხელშეკრულებისა, შრომის საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილეობის მისაღებად, და სია მათი დაუყონებლივ ეცნობოს შრომის საერთაშორისო ბიუროს ჟენევაში.

5. დაევალოს ზემო აღნიშნულ წარმომადგენლებს დაუყონებლივ წარადგინონ ეს დადგენილებანი ერთა ლიგის მუდმივ სეკრეტარიატში, ჟენევ-ში.

სასწრაფო ხასიათი ამ წინადადებისა გამოწვეულია, ბევრი სხვა მოსაზრებით გარდა, იმ გარემოებიტაც, რომ 15 ნოემბერს დანიშნულია ერთა ლიგის საზოგადო კრება. საერთაშორისო პოლიტიკური კონიუნქტურა ისეთია რომ აუცილებლად საჭიროა საქართველოს მიიღოს მონაწილეობა ამ კრებაში.

ერ. დ ფრაქციის დავალებით:

გ. გვაზავა.

## მომარაგების სამინისტროში.

7.

### ტერ-კარაპეტიანცი და კუზანიანცი

რაპორტი ა. შავგულიძის, მომარაგების სამინისტროს საწყობის შესახებ.

**სახელმწიფო კონტროლიორს**

თანახმად სახელმწიფო კონტროლის მომართვისა ამა წლის ივლისის 6 თარიღით № 5255, მე მქონდა დავალებული მომეხდინა ფაქტიური მოულოდნელი რევიზია მომარაგების სამინისტროს საწყობისა, რომელიც იმყოფება ავლაბარში. რევიზია ჩემ მიერ იქმნა შესრულებული 115 მუხლის სარევიზიო წესდების მიხედვით, ე. ი. შეძლებისა დაგვარად. სანამ რევიზიის შედეგის აღწერას შეუდგებოდე სურვილი მაქვს გადმოვცეთ ის ფსიხოლოგიური სულისკვეთება, რასაც განიცდიდენ საწყობის მოსამსახურენი ჩემ დანახვაზე. მისვლისათანავე გავეცანი საწყობის გამგეს **სამთო ინჟენერ ტერ-კარაპეტიანცს და მის თანაშემწეს ყოფილ გიმნაზიის დირექტორს უნივერსიტეტ დამთავრებულს კუზანიანცს.** ერთი დანახვით ვიფიქრე, საქართველოს რესპუბლიკა უზრუნველყოფილ ა ეგეთი ხალხით, რომ ასეთ ადგილებს სათავეში უდგანანო, მაგრამ აულე რა ალღო მათ მოქმედებას, მასთან გავეცანი მათ მიმიკას, აზრი უცებ შემეცვალა არა სასურველ მხარესაკენ, რომელიც უკვე დაამტკიცეს თავის მოპყრობით ჩემდამი. ჩვენი შეკითხვები დიდი გაჭირვებით ხდებოდა ღირსი პასუხისა. საბუთები, რომლებიც სწარმოებს საწყობის კანტორაში უცებ არა ოფიციალურად გადაიქცნენ, ერთი სიტყვით ჩვენ მოთხოვნილებაზე მიგვითითეს თვით მომარაგების სამინისტროში.

სანამ რასმეს გავშინჯავდით დიდი ხვეწნა და სიტყვის დახარჯვა დაგვჭირდა. მასთან ჩვენი სარევიზიო წესდების 88 მუხლის განმარტებაც, მინდოდა რაიმე ფერად ჩამეთრია საქმეში, მაგრამ ამაოდ. ჩვენი მუშაობა ივლისის 7 გამოიხატა შემდეგში: გავეცანით ყველა ოპერაციებს, მივიღეთ ვლადიკავკაზიდან და მომარაგების სამინისტროდან გადმოგზავნილი ლომი 998 ფუთი 1 გირ. მასთან დავესწარით ბათომში გასაგზავნ ორ ვაგონის ფქვილის დატვირთვას და გავეცანით ყველა საწყობებს მათივე სანებით. ამ ხნის განმავლობაში ვემუდარებოდით საწყობის გამგეს რათა ჩვენთვის მოეცა მუშები, რომლის მეოხებით ჩვენ ავიღებდით ანგარიშში რამოდენიმე ხარისხის საგანს. მაგრამ ჩვენი ვედრება რჩებოდა მარტოკა თხოვნათ. ისინი გვპირდებოდნენ, თან ვგვირბოდნენ განზე ,,აი საქმე შეფერხდა''... ამა წლის ივლისის 8 ჩვენ მივაღწიეთ მას, რომ ავიღეთ წონით ბრინჯი, რომლის წონა ფაქტიურად აღმოჩნდა 253 ფ. 20 გირ. შანაურ საბუთების ცნობებში კი სჩანდა 655 ფუთ. 33 გირ., **ე. ი. 402 ფუთ. 13 გრ. დანაკლისი იყო.** იმის შესახებ დიდი მითქმა მოთქმა გაიმართა, წინა დღით მოწოდებული გვქონდა ცნობა ყოველგვარი საგნის რაოდენობის შესახებ და თუ სად იმყოფებოდა იგი. ეს ცნობა ადმინისტრაციამ დიდი კამათით უკან დაიბრუნა. ჩვენ კი მარტოკა გადმოვწერეთ აღნიშნულ საგნის ჯამი. ოქმის ხელის მოწერაზე რომელიც იქმნა ჩვენ

...მიმდგენილი დიდი ახსნა დამჭირ-...ერმე პირდაპირ განვუცხადე 121 სარევიზიო წესდების ძალით ნება ...ქსთ უარი განაცხადოთ, მხო ჩვენივე სარევიზიო წესდების 122 ...ის ძალით ნება გეძლევათ თუ რა ...ერ ეთანხმებით ოქმში გაპჭარტება ...თ, რაზედაც უკვე დასტური გაპა-...ა. ბრინჯის შესახებ საწყობის გამ-...განმარტება მომცა ჩვენ ოქმში, ...ელიც ჩემი აზრით ეწინააღმდეგება მარტო იურისპრუდენციას, ამედ ...ენტარულ მორალსაც. სხვათა შო-...განმიცხადა ,,ბრინჯის მიღების ...ს ხელი მოვაწერე ოქმს, მაგრამ ...ხელის მოწერა უკანონოა. რადგან ...ეზი არ გამიშინჯავსო''. ასეთი ცნოვ-...ის აბსურდი, ასეთ დიდმნიშვნელო-...დაწესებულების საწყობის გამგის ...ები, (რომლის სვებედს შეუძლიან ...აწყვეტა ადამიანის ყოფნა არ ყო-...ის საკითხის) უკანონო და არა საპა...ო.

...მოაღნიშნულმა საქმის გაშინჯვამ ...ო განსხვავება მოგვცა; აქედან წა-...ენებულია საკითხი: ნუთუ ამოღენა ...ოაგე უმიზეზოთ იქნება? მე კი ვი...ოლდტები კოლოსალური აღმოჩ-...ება იმ შემთხვევაში თუ, სახელმწიფო ...ნტროლი მას ძირიან ფესვიანად გა-...იტიკებს.. მაგრამ ამ უკანასკნელს ...ჭიროება მუშა-ხელი და მაგარი ძარ... საერთოთ უნდა ითქვას: საწყო-...დღეს კატასტროფიულ მდგომარეო...განიცდის თუ ღრმათ ჩავხედავთ ...მსახურეების ფსიხიკას შევამჩნევთ, ...მ შიგ რაცხა ჩუმი შეთქმულება ბუ-...ობს. ამას ამტკიცებს მათი პასუხი ...მს შეკითხვებზე პირმედ თვით საწყო-ბის მოწყობილება ლაპარაკობს თავის ...ის წერაზედ... არის შემთხვევა-ბრინ-ჯი ერთ ალაგას ერთ საწყობში არის დალაგებული. მასთან მეორეში ქერთან დამალული პატარა ორ ფუთიანი ტომ-რებში ,,მანნის კრუპა'', რომელიც დიდ საფასურშია, ქერთან მიგდებული ერთი ტომარა, ასე რომ წარმოვიდგინე რომ ეგ ტომარა ეძებს შემთხვევას გარედ გასვლისთვის.

რევიზია არ მოხდა სრული, შემდეგი მოსაზრებით:

1. არ მოგვცეს მუშა, რომლის მეოხებით შეიძლებოდა ანგარიშით აღება სანოვაგისა.
2. მუდამ გაგვირბოდენ ,,აი საქმე შეშლებაო''.
3. ტომრები მიყრილი, რომლის გადათვალა შეუძლებელი იყო ყოველ მხრით.
4. სიმინდი და ხორბალი ჩაბნეული ტომრებში, ისე იატაკზედ ბლომად ყრია რაზედაც უხდებოდათ ფეხი! იატაკში. ჩვენი განცხადების მიცემის შემდეგ ანგარიში გაუწიეს და დაიწყე აკრეფა.
5. ტომრები სხვა და სხვა კალიბრიხაა, მათი სარტიროვკა არ არის მოხდენილი.

ამასთანავე უნდა მოვიხსენიო საქონლის გაცემა ხდება ძალიან უხერხულად. მიმღები არ ესწრება, მხოლოდ ესწრებიან თვით საწყობის ინტერესების დ მცველნი... აგზავნიან ტვირთავენ ვაგონებს, რასაც შეუძლიან გამოიწვიოს რაიმე გაუგებრობა დატვირთვაში.

ალაყაფის კარებში გასვლის ნებართვა ეგ მომსვლელთათვის ნაცრის თვალებში შეყრაა, რადგან შეიძლება გავიდეს კარში ზედმეტი სანოვაგე მიტომ რომ კონტროლი ზერელედ ათვალიერებს. ამ მხრივ საწყობი უზრუნველყოფილი არ არის.

ასეთი დაწესებულება მთავარ არტერიას გ. ი. შუხჰალტერიას მოკლებული, წარმოუდგენელია. აქ თვალსაჩინოთ უნდა იყოს ყველასათვის, როგორც შემოსავალ მუხლის ისე გასავლის საერთო ჯამი.

არც ერთ განყოფილებებს არა აქეთ ოფიციალური ხასიათის დავთრები, არც პასუხისმგებელი ექსპედიტორები, არც [illegible] ერთისა, ვინაიდან საწყობის რიცხვი უდრის ექვს, ეხლა ხუთს.

დასასრულ უნდა მოვახსენოთ: საწყობები მომარაგების სამინისტროსი თხოულობს დიდ ყურადღებას სახელმწიფო კონტროლისაგან. კონტროლის მხრივ გადათვალიერება საჩქაროთ, ჯამში ვერავითარ დასკვნამდე ვერ მივდიყვანთ, ამისათვის სასურველი ასეთ მნიშვნელოვან ალაგებს მიექციოს სერიოზული ყურადღება. რათა არ გაიფანტოს ის აუარებელი ქონება რესპუბლიკისა, რომელიც დღეს დღეობით იმყოფება არა საიმედო პიროვნებების ხელში და რომელთაც საქციელზე არავინ პასუხისმგებელი არ არის.

დიდანს ხელს აწერს თანამშრომელი სახელმწიფო კონტროლისა

ა. შავგულიძე.

9 ივლისი 1920 წ.
ქალ. ტფილისი.

## სახელმწიფო კონტროლი და ქიასაშვილი

გაზ. „ერთობის“ №230 ში, მოთავსებულია სახელმწიფო კონტროლის წარ- [illegible]

...ამდვილ ვითარების გაუქმების მაგიერ, ეჭვდარა პატივცემულ საზოგადოებას არა წერი ცნობა სახელმწიფო კონტროლის მიერ თავის მოვალეობის ცოდნის შესახებ.

სახელმწიფო კონტროლის № 4849 წერილში კი, როგორც ეს უთუოდ ბ-ნ ქიასაშვილსაც (და თუ არ ესმის—უნდა ესმოდეს, როგორც თვალსაჩინო თანამდებობის პირს), სრულებითაც არ არის ნათქვამი ის, რომ სამინისტრომ წინასწარ უნდა შეატყობინოს და გააფრთხილოს თავისი მოხელეები, ყოველ ცალკე შემთხვევაში მოულოდნელ რევიზიის დაწყების შესახებ, როგორც ეს ვაჭრობა მრეწველობის განყოფილებამ ჩაიდინა ბ-ნ კახელაძის მიმართ, - არამედ აქ ნათლადაა მოთხოვნილი მომარაგების მინისტრის სათანადო საერთო განკარგულება, რათა სამინისტროს ყველა რწმუნებულმა, სარევიზიო წესდების მე 98 მუხლის თანახმად, შეუწყონ ხელი სახელმწიფო კანტროლის წარმომადგენლებს რევიზიის დროს და შეასრულონ ამ უკანასკნელთა ყველა კანონიერი მოთხოვნილებანი. ეს ჩვენის აზრით სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რაზედაც ბ-ნი ქიასაშვილი ამბობს თავის წერილში.

სახელმწიფო კანტროლის მომარაგების მინისტრისადმი ამგვარი მიმართვა კი გამოწვეული იყო იმითი, რომ სამინისტროს ზოგიერთი თანამშრომელნი, რომელთაც ებარათ ხაზინის მრავალი მილიონები სასურსათო ოპერაციების საწარმოებლად, არ სთვლიდენ თავის ანგარიშს ვალდებულად სახელმწიფო კანტროლის წინაშე, არ ასრულებდენ მის კანონიერ მოთხოვნილებებს და საერთოდ სცდილობდნენ აეცილებიათ თავიდან მისი რევიზიები. ამით კი ხსენებულნი პირნი რასაკვირველია არღვევდნენ უკლებლივ ყველასათვის სავალდებულო კანონს (1918 წლის 6 დეკემბრის „სახელმწიფო კონტროლის დებულებას“ და „სარევიზიო წესდებას“)—

და როდესაც გამოირკვა, რომ სამინისტროს ზოგიერთი მოღვაწენი არ სცნობდენ ყველასთვის სავალდებულო კანონს და ამით ხელს უშლიდენ სახელმწიფო კანტროლს მისდამი დაკისრებულ მოვალეობის ასრულებაში, მაშინ სახელმწიფო კანტროლმა სთხოვა მომარაგების მინისტრს, რათა მას აეხსნა და შთაეგონებია ყველა თავის უწყების მოღვაწეთათვის კანონის პატივისცემისა და ცნობის აუცილებლობა. აი ასეთი აზრითაა გამსჭვალული №4849 წერილი და, ამიტომ ეჭვი არაა, ეს წერილი სრულებითაც არ არის იმისი „პირდაპირი დამცველებელი“, რაზედაც ბ ნი ქიასაშვილი ამბობს თავის წერილში რედაქციის მიმართ. სახელმწიფო კანტროლმა მშვენად მაინც იცის თავის საქმე, რომ იგი არავის „დაავალებდა“ მოულოდნელ რევიზიის სავსებით მოსალოდნელად გადაქცევას: მან მხოლოდ მოითხოვა ყველასათვის სავალდებულო კანონის (სარევიზიო წესდების მე 98 მუხლის) ასრულება, რისაც მას არავითარი საიდუმლოება არ გაუხდელია ვინმესათვის, არამედ მოაგონა, ვ ხაც ჯერ არს ყველასათვის ცნობილი და საჯაროდ გამოცხადებულ კანონის ცოდნა.

სახელმწიფო კანტროლის სამხედრო სამოქალაქო სექციის გამგე გ. კანდელაკი.

## სომხეთ-ოსმალეთის ომი.

[illegible]

...ქალაქი მონაწილეობით დამარცხება კარ...რე

წითელ არმიელები სომხეთის წინააღმდეგ.

სარწმუნო წყაროების ცნობით ჩრდილოეთ კავკასიიდან და ბაქოდინ ბოლშევიკებმა სრული ორი დივიზია გადმოიყვანეს სომხეთის წინააღმდეგ ოსმალეთის ლაშქართან შესაერთებლად. ორივე დივიზიას ხელმძღვანელობს ცნობილი გენერალი ლევანდოვსკი.

ხმებია, თითქოს ლენინმა წინადადება მისცა იმიერ-კავკასიის ბოლშევიკებს ოსმალეთის ლაშქარს ჯერ არ შეუერთდენ და სომხების წინააღმდეგ აქტიურად ნუ გამოვლენ.

ბრძოლა სოჭასთან

ღვინობისთვის 6-ს გენ. ფოსტიკოვის ფრონტი იმყოფებოდა 4 ვერსის მანძილზე სოჭის ჩრდილოეთით. მოცესტი, ხოსტა, ადლერი და კრასნაია პალიანი.

ყაზახებმა აიღეს ღვინობისთვის 7-სა 8 ს წითლები სისხლის მღვრელ ომებს აწარმოებდენ სოჭაზე იერიშით გადასულ ფოსტიკოვის ლაშქართან ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ ფოსტიკოსლაშქარი სასტიკად დამარცხდა და თვითონ შეაფარა საქართველოს საზღვრებს.

სპეს. ფინანსიური და სამრეწველო დაწესებულებები დაიხურა. შრომის ნაყოფიერება საშინლად დაეცა. საბჭოთა მთავრობა იძულებულია მიმართოს ძველ მეთოდებს. აესებს პრემიის სისტემა და სხვა. მიუხედავად კომუნიზმის აგიტაციისა, თავს იჩენს საშინელი ეგოიზმი, განსაკუთრებით კი გლეხებისა, ქალაქები შიმშილობენ. რუსეთი მეთოდიურად მიექანება დაღუპვისაკენ. თუ იგი კიდევ არსებობს, ამის მიზეზია ის მილიტარისტული სული, რომლითაც არის გაჟღენთილი საბჭოთა მთავრობის ყოველი ზომა. უეჭველია რომ რუსის ხალხში არის ნიადაგი ბოლშევიზმისათვის. ბოლშევიზმის საფუძველი არის ის უკულტურობა, რომელშიაც იმყოფება მთელი რუსეთი.

# ახალი ამბები

## მთავრობაში.

— პურის გამოცხობა. ქალაქის სასურსათო განყოფილებამ მთავრობის თავმჯდომარის რწმუნებულს გ. ხუნდაძეს, მომარაგების სამინისტროს და მუხათა მაგიდას წარუდგინა ის ოქმის პირი, რომელშიც აღნიშნული იყო მიზეზი პურის მშრალად გამოუცხობლობისა და მოსთხოვა გასაცემ ფქვილში ქერის ფქვილი არ აღემატებოდეს 30 პროცენტს. ოქმში აღნიშნულია, რომ მიზეზი პურის მშრალად გამოუცხობლობისა ქერის ფქვილის დიდი პროცენტია. იმ ხორბლის ფქვილში, რომელსაც იძლევა მომარაგების სამინისტრო არ შეიძლება ქერის ფქვილის 20 პროცენტზე მეტის შემატება.

## სამინისტროებში.

— შინაგან საქმეთა სამინისტროში. პალესტინაში მიმავალი ებრაელები. შინაგან საქმეთა სამინისტრომ განიხილა შუამდგომლობა სიონისტურ ორგანიზაციებისა რუსეთიდან პალესტინაში მიმავალ ებრაელების საქართველოზე გაშვების ნებართვის მიცემის შესახებ გადასწყვიტა იგი დადებითად შემდეგი პირობებით: 1) ნებართვა მიეცემათ ინგლისის წარმომადგენლობის მიერ. ემიგრანტთა პასპორტების დამოწმების შესახებ თანხმობის გამოცხადების შემდეგ, შემოწმება მოხდება იმ მოწმობებით, რომელთაც მათ სიონისტური ორგანიზაცია მისცემთ, 2) ემიგრანტები კავკავიდან ან ბაქოდან უნდა წავიდენ პირდაპირ ბათომში ან ფოთში, მათ არ მიეცემათ უფლება ტფილისში და საერთოდ საქართველოს ტერიტორიაზე გაჩერებისა, 3) რათა აცილებულ იქმნას ფულის ნიშნების ეცხო ვალიუტაზე გადაცვლა საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებში სიონისტური ორგანიზაციამ თვით უნდა მიიღოს თავის თავზე ემიგრანტების სამგზავრო ფულის გადახდა. უნდა გადაცვალოს საქართველოს სახელმწიფო ბანკში განსაზღვრული თანხა ფულისა უცხო ვალიუტით, რომლითაც სიონისტურ ორგანიზაციის რწმუნებული გადაიხდის გემის ბილეთის საფასურს გამგზავრების პუნქტზე (ბათომი, ფოთი,) 4) ნებართვები, რომლებიც მიეცემათ ებრაელ ემიგრანტებს რუსეთში, მყოფ საქართველოს კონსულების მიერ სიონისტურ ორგანიზაციის მოწმობების თანახმად საკმარისია იმისათვის, რომ ემიგრანტებმა მიიღონ საქართველოზე გასვლის ნებართვა ისე რომ საჭირო არ იქნება ყოველ ცალკე შემთხვევაში დაამტკიცოს მათი მოწმობები შინაგან საქმეთა სამინისტრომ.

## სენატში.

— სენატში. სენატის საკასაციო დეპარტამენტის საზოგადო სხდომაზე დაადგინეს: 1. ქუთაისის ოლქის სასამართლოს პროკურორის ამხანაგი ჟვანია დაინიშნოს ამავე სასამართლოს წევრად 2. ქუთაისს მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობის თავმჯდომარე ლ. გრიგოლია დაინიშნოს ქუთაისის ოლქის სასამართლოს თავმჯდომარეთ. 3. ტფილისის ოლქო სასამართლოს პროკურორის ამხანაგი გ. დილევსკი დაინიშნოს ამავე სასამართლოს ადმინისტრატიულ განყოფილეშის წევრად. 4. ტფილისის ოლქის სასამართლოს წევრი ლუკევიჩი კანონების გადამსინჯავ კომისიაში დანიშვნის გამო გამორიცხულ იქმნას თბილისის ოლქის სასამართლოს წევრობიდან.

— უარყოფა ცნობისა სახელმწიფო ბანკის მიერ. სახელმწიფო ბანკის კანცელარია გთხოვთ ვაცნობოთ საზოგადოებას შემდეგი: ,,წერილში, რომელშიც დაბეჭდილი იყო გაზ- ,,ბორბაში'' მე-№228-ში'' ვალიუტის ბაზრის მოწესრიგების'' სახელწოდებით, ავტორი განმარტავდა რა უცხო ვალიუტის ოპერაციის მომწესრიგებელ საგანგებო თათბირის სავალდებულო დადგენილებას სხვათა შორის სწერდა: ,,როგორი ვაჭრობის თავისუფლება არის აქ, როდესაც რომელმაც შემოიტანა საქონელი საქართველოში და გაყიდა იგი ბონებზე, შეუძლია შეიძინოს მაგიერი ვალიუტა საქონლის შემოსატანად, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი წარადგენს სათანადო მოწმობას იმისას, რომ აღნიშნული ვალიუტა სწორედ ვაჭრობა მრეწველობის მიზანს მოხმარდებაო''. სახელმწიფო ბანკის გამგეობის მინდობილობით, ბანკის უცხოეთის განყოფილება იუწყება: ავტორის მოყვანილი დებულება არ შეეფერება საგანგებო თათბირის სავალდებულო დადგენილებას, ვინაიდან საქართველოში უცხოეთის საქონლის შემომტანელთ აქვთ სრული უფლება მიიღონ უცხო ვალიუტა, მიუხედავათ იმისა განზრახული აქვთ მათ შემოიტანონ საქონელი საქართველოში ხელმეორედ თუ არა. სავალდებულო დადგენილების მეექვსე პუნქტი, რომელსაც როგორც სჩანს, არჩევს მოქალაქე ნ. ი. შეეხება მხოლოდ იმ პირთ, რომლებიც პირველად შუამდგომლობენ მისცენ მისცენ მათ უცხო ვალიუტა, და აქვთ განზრახვა შეძენილ ვალიუტით შემოიტანონ საქართველოში საქონელი:

— იუსტიციის სამინისტროში. ოქტომბრის 8, საოლქო სასამართლოს სესია კურმანოვიჩის თავმჯდომარეობით ახალქალაქში გაემგზავრა. ახალქალაქში სასამართლოს სესია ვაგრძელდება ოქტ. 11 იმავე თვის 15-მდე, შემდეგ სესია გაემგზავრება ახალციხეში სადაც დარჩება ოქტ. 19--23-მდე.

— ფინანსთა სამინისტოში. ღვინობისთვის 8. ბრალოვსკის თავმჯდომარეობით შესდგა ტეხნიკურ კომიტეტის სხდომა, სადაც იმსჯელეს ელექტრონის სადგურის სათბობის მასალის მდგომარეობის შესახებ. თავმჯდომარემ მოახსენა კრებას, რომ მან მოიწვია ელექტრონის სადგურის მეპატრონეები და და წინადადება მისცათ შეედგინათ სია თუ რა ხელსაწყო აკლიათ. სათათბირო ბიუროს დაარსების შესახებ დაადგინეს: დაარსდეს ასეთი ბიურო 5 პირისაგან შემდგარი და დაეხმაროს ის ელექტრო-


ქინემა.. 10, 11, 12 ოქტომბერი
[illegible]

როცა თვით შენ გიყვარს, [illegible] შენ, ხოლო [illegible] როცა შენ უყვარხართ

დრამა ხუთ მოქმედებათ, რომელიც მკაფიოდ აჩვენებს

თანამედროვე ოჯახის დარღვევას

დადგმა ეკუთვნის სახელმწიფო თეატრის მხატვარს ვ. ა. სიმოვს.

უმთავრეს როლებში გამოდიან:

| | |
|---|---|
| სტრონსკი სასამართლოს გამ. | ს. ი. სვობოდა. |
| ვერა ლვოვის ას. მისი მეუღლე | ოლღა ორგი. |
| იასტრებოვსკი მხატვარი | ბ. შუპინსკი. |
| ქსენია პოგორეცკაია | ჩაგინისა. |

სეანსის დასაწყისი 1 აქ. 5ნახ. საათ. 2. 7 ნახ. ს. და 3.—9 ს,, ხოლო მე 5 10 ნახ. საათ.

ფასი ჩვეულებრივია.

დღეს კვირას, ნაშუადღევის 1 ს. ლიტერატორ-მხატვართა მსჯავრის გამოტანაა.


# უცხოეთში

ხუმარა ხელოვნები.

გალათეში,—სტამბოლში, როგორც იქაური გაზეთები გადმოგვცემენ, ზოგიერთ ხელოვანს წარმოუდგენია პროექტი აია სოფიის მეჩეთზე ისევ ქრისტიანული ჯვარი აჰმართონ და იუსტინე დიდის დღე გაუთენონ დიდ ტაძარს. ამ პროექტს სიმპატიურად მხოლოდ ბერძნებმა შეჰხედეს, რომელნიც თავიანთ სამკვიდრებლად სთვლიან არა მარტო ამ ხუროთმოძღვრების საკვირველებას, არამედ თვით სტამბოლსაც. ფართო პრესას კი პროექტის წარმომადგენელთათვის „ხუმარა ხელოვნები“ უწოდებია.

სკანდინავიის სახელმწიფონი და ბოლშევიკები.

კოპენჰაგენიდან იუწყებიან, რომ მთელმა მისსიის შემადგენლობამ ფინკელშეიმისა და აგრეთვე ლიტვინოვისამ, უკვე დასტოვეს ეს ქალაქი და რუსეთისაკენ გაემართნენ, ასე რომ ამ ჟამად მთელს დანიაში არც ერთი ლენინის წარმომადგენელთაგანი არ დარჩენილა. ასეთსავე ამბავს იუწყებიან ქრისტიანიიდან. ნორვეგიის დედა ქალაქი საბჭოთა რუსეთის წარმომადგენლებმა უკვე მიატოვეს, ორი წევრი გერმანიისკენ გაემართა, ხოლო დანარჩენები—ბერგენისკენ, სადაც მათ უცდით გემი ჰამსუნგში მისასვლელად, აქედან კიდევ რუსეთისკენ გაემართებიან. ადგილობრივი გაზეთები დაბეჯითებით ირწმუნებიან, რომ მთელ იმ ხანის განმავლობაში, რაც ბოლშევიკთა წარმომადგენლებმა დაჰყვეს, ისინი გაცხარებულ პროპაგანდას ეწეოდნენ სინდიკალისტთა წრეებში და კომიტეტს უდგენდნენ მესამე ინტერნაციონალის მუშაობის ანგარიშს. აღმასრულებელმა კომიტეტმა და დგინა სინდიკალისტთა ყველა წევრებისთვის დაეგზავნათ ეს ანგარიშები. მაგრამ უნდა ითქვას, რომ პასუხი ყოველთვის ბოლშევიკთა არა სასარგებლოდ მიდიოდა. სტოკჰოლმიდან მიღებულ დეპეშების თანახმად, ბრანტიგს, მთავრობის თავმჯდომარეს, უკანასკნელ თავის სიტყვაში დაბეჯითებული აზრი გაუტარებია, რომ ბოლშევიკებმა თავიანთი პროპაგანდით სულ საწინააღმდეგო შედეგს მიაღწიეს და იმათაც კი, ვისაცა სწამდათ მათი მსოფლიო დანიშნულება და საქვეყნო მოწოდება, რწმენა დაჰკარგეს მათდამი და ყოველთვის მზად არიან ებრძოლონ მათ და მესამე ინტერნაციონალის ყოველგვარს დადგენილებასაო. შეიძლება თამამად ითქვას, რომ ბოლშევიზმისადმი ზიზღი ასე არასოდეს არა ყოფილა, მათ დაასამარეს თავიანთი თავი მით, რომ მუშებს სწორედ ისე გააცნეს თავი, რასაც ისინი წარმოადგენენ სინამდვილეში: ქვეყნის მგრეველებად და დამღუპველადა...

უცხოეთი

ბელგია და სომხეთი.

სტამბოლის გაზ. „ჰაკატამარტი“ იუწყება, რომ ბელგიამ სომხეთის დამოუკიდებლობა იცნო.

პარლამენტის არჩევნები ინგლისში.

ახალი პოლიტიკურ მდგომარეობის შექმნის გამო, რომელიც გამოიწვია ინგლისში მუშათა მოძრაობამ და „მოქმედების კომიტეტის“ დაარსებამ, ლოიდ-ჯორჯმა გადასწყვიტა აპელაცია ხალხზე გადაიტანოს და ნოემბერში პარლამენტის ახალი არჩევნები მოხდეს.

არჩევნების ლოზუნგი იქნება: პარლამენტარული თუ ბოლშევიკური ინგლისი.

# დეპეშები.

## ს. ს. გ. ცნობები

კამენევის მისია.

პარიზი. ენკენისთვეს. 24. სტოკოლმიდან იუწყებიან: კამენევი რეველში გაემგზავრა მისივე სიტყვით მან საბჭოთა მთავრობას ლოიდ-ჯორჯის კონკრეტიული წინადადება უნდა გადასცეს.

ვლადივასტოკის ბუფერი.

„ჟურნალი დე დება'' იუწყება: თანახმად ვლადივოსტოკიდან მოსულ ცნობისა მოსკოვის მთავრობა თანახმაა და უჭიროს მხარი იაპონიის პროექტს აღმოსავლეთ ციმბირში დამოუკიდებელ სახელმწიფოს ბუფერის შექმნას. ახალ სახელმწიფოს სატახტო ქალაქათ ვერხნე უდონსკი იქნება. სახალხო ყრილობამ ჩიტაში აირჩია კოალიციური კაბინეტი რომელშიაც შედიან სოციალისტები და მემარცხენე კადეტები.

ფრონარი და კაშენი რუსეთის შესახებ.

ლონდონი. ენკენ. 30 ინგლისის პრესა კვლავ უძღვნის კრიტიკულ წერილებს ფრონარ და კაშენის რუსეთის მდგომარეობის შესახებ გამოქვეყნებულ წერილებს: ,,დეილი ხრონიკლი'' სწერს: ფრონარი აქებს რუსეთის თავისუფლებას, რომელიც მისივე სიტყვით სრულიად შლის პიროვნებას. რუსეთის თავის მოქალაქეთ პირადი თავისუფალ ინიციატივის მაგივრად იძულებით სამუშაოს აძლევს საბჭოთა რუსეთის მოქალაქეს არა აქვს უფლება ბინის გამოცვლისაც კი, თუ მას არ ექნა სათანადო ნებართვა.

აჯანყება უკრაინაში.

ვარშავა. ღვინობისთვის 1 გაზეთი ,,ლვოვსკი'' იუწყება; უკრაინაში გლეხების საერთო აჯანყება ხდება. აჯანყება ბოლშევიკების მიერ მოწყობილმა რეკვიზიციებმა გამოიწვიეს. აჯანყება ბოლშევიკების მიერ მოწყობილმა რეკვიზიციებმა გამოიწვიეს აჯანყდა მთელი პოდოლია. ტირასპოლში აჯანყებულთ მე-361 საბჭოთა პოლკი მიემხრო.

ამერიკის სოციალისტები და ბოლშევიკები.

ნიუ-იორკი. ენკენ. 28. ამერიკულმა სოც. პარტიამ პროლეტარიატის დიქტატურის საკითხის შესახებ თავის წევრებს შორის რეფერენდუმი მოახდინა პროლეტარიატის დიქტატურა იმ სახით როგორც ეს რუსეთში დიდი ხნის უმეტესობით იქნა უარყოფილი.

ტანი რუსეთის შესახებ.

პარიზი. ღვინობისთვის 1. ,,ტანი'' სწერს: საშინელ ფატალიზმით მიექანება საბჭოთა რუსეთი ბარბაროსობისაკენ. სასოფლო მეურნეობა და ინდუსტრიალური მრეწველობა სრულიად მო-

## მომარაგების ახალი მინისტრი.

სარწმუნო წყაროებიდან იუწყებიან, რომ მომარაგების ეხლანდელი მინისტრი ერაძე თანამდებობას თავს ანებებს.

როგორც ამბობენ მომარაგების მინისტრის პორტფელი შესთავაზეს ქალაქთა კავშირის მთავარ კომიტეტის თავმჯდომარეს ბ ნ ნიკო ელიავას, რომელი ჯერ-ჯერობით უარს აცხადებს.

ნის მეპატრონეებს. ბიუროში შევლენ წარმომადგენლები ტეხნიკურ კომიტეტიდან, ვაჭრობა მრეწველობის სამინისტროდან, ქალაქის გამგეობიდან, ელექტრონის სადგურის მეპატრონეთა კავშირისაგან და ადგილობრივ პოლიტეხკუმნიიდან.

— **იუსტიციის სამინისტროში.** ოქტომბრის 8, საოლქო სასამართლოს სესია კურმანოვიჩის თავმჯდომარეობით ახალქალაქში გაემგზავრა. ახალქალაქში სასამართლოს სესია გაგრძელდება ოქტ. 11 იმავე თვის 15-მდე, შემდეგ სესია გაემგზავრება ახალციხეში სადაც დარჩება ოქტ. 19--23-მდე.

— **შრომის სამინისტროში.** შრომის სამინისტრომ სთხოვა გარეშე საქმეთა სამინისტროს დაეხმაროს მას რათა ტაუზის ცემენტის ქარხნის მუშებმა წევდრი შრომის ხელფასი მიიღონ. აღნიშნულ მუშებს შრომის ხელფასი უკანასკნელი ექვსი თვეა არ მიუღიათ. შრომის სამინისტრო ამასთანავე იუწყება, რომ ტაუზის ქარხანა ადერბეიჯანის ტერიტორიაზე არსებობს და მისი კონტორა კი თფილისშია.

## ბანკებში.

— **სახელმწიფო ბანკის ბათომის განყოფილება.** ოქტომბრის 7, საღამოს მატარებლით ბათომში სახელმწიფო ბანკის განყოფილების გასახსნელად გაემგზავრნენ სახელმწიფო ბანკის გამგეობის წევრი ი. ს. მენაბდე, და ბათომის განყოფილების გამგე დ. ს. ვაჩნაძე. განყოფილების უფროს მოსამსახურეებთან ერთად განყოფილების გახსნა უახლოეს დღეებში არის განზრახული.

**დებრიუკერი სახელმწიფო ბანკში.** პარასკევს ოქტომბრის 8, საქართველოს სახელმწიფო ბანკი ინახულა ევროპის სოციალისტურ დელეგაციის წევრმა დებრიუკერმა. სახელმწიფო ბანკის გამგეობასთან და გამგეობის წევრებ თანსაუბრის დროს დებრიუკერს აინტერესებდა სახელმწიფო ბანკის კონსტრუქციასთან და მოქმედებასთან დაკავშირებული საკითხები. განსაკუთრებით აინტერესებდა მას დამოკიდებულება სახელმწიფო ბანკსა და დამფუძნებელ კრების და სხვა სახელმწიფოს უმაღლეს დაწესებულებათა შორის.

— **მთიარეთში ოსების ბრბოებთან ბრძოლა.** როგორც გორის მაზრიდან იტყობინებიან თბილისიდან გაგზავნილ მილიციას ბ. ჭუმბრიას მეთაურობით მთლად გაუწმენდია მოთარეში ოსების ბრბოებიდან წუნერისა, ორთევის, ბანის და ჯავის რაიონები. ას სულზე მეტი გაუგზავნია ჩრდილო კავკასიაში.

— **გ. ყორდანიას გადადგომა.** იუსტიციის სამინისტროს დეპარტამენტის დირექტორი გ. თ. ყორდანია თანამდებობიდან გადადგა. დეპარტამენტის დირექტორობა უქმდება მის ნაცვლად დაწესებული იქნება მინისტრის თანაშემწის თანამდებობა. იუსტიციის მინისტრი რ. არსენიძე მოითხოვს რომ ამ პოსტზე დაინიშნოს სოციალ დემოკრატი.

— **შავი ქვა.** „ჩემის“ ცნობით 1920 წლის იანვრის 1 ღვინობისთვის 1 ნავთსადგურიდან იქმნა გატანილი 81139 მილ. ფუთი შავი ქვა. ამას გარდა მთავრობისთვის ოვითლირებულების ფასში დათმობილ 3 მილიონ ფუთ შავი ქვიდან გატანილ იქმნა 676.000 ფუთიო.

— **სიღნაღში.** 9. (დეპ. საავ. საკ. კორესპ. სამაზრო ერობა ენერგიულ ზომებს იღებს მცხოვრებლებისათვის სიმინდისა და ქერის დასარიგებლად.

დღეს გლეხებს უკვე დაურიგდათ ორი ვაგონი სიმინდი და ორი ვაგონი ქერი აქ სიმინდის ფასი უკვე ორი ათას მანეთს აღწევს.

ოზურგეთის სამაზრო ერობის წინადადების თანახმად მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობამ დაადგინა საქმეების გარჩევა ადგილობრივად ხდებოდეს. და ყოველგვარი ხარჯი ერობის საშუალებით იქნას განსტუმრებულიო.

— **სასამართლო სიღნაღში.** ოქტომბრის 10 საღამოს სასამართლოს სესია გაემგზავრა სიღნაღში სადაც დარჩება ოქტომბრის 16-დე. სიღნაღში ოქტომბრის 16 ნაფიც მსაჯულთა არჩევნები არის დანიშნული.

— **გორის სამასწავლებლო სემინარიაში,** რომელიც ქ. სურამში გადადის, დაიწყო თხოვნების მიღება; მეცადინეობა განახლდება 25 ოქტომბერს. მოწაფეებს სტიპენდიის გარდა, რომელიც 640 მან. უდრის თვეში, დაეთმობათ ბინა გათბობა-განათებით, „კრაოტები“, სამზარეულო და მურჭელი; საჭირო მოწაფეებმა იქონიონ საკუთარი. ლოგინი და წამოიღონ ზამთრის საყოფი სურსათ-სანოვაგე. თხოვნები 20 ოქტომბრამდე უნდა იგზავნებოდეს ქ. ბორჯომში, შემდეგ ქ. სურამში!!

სემინარიის დირექტორი ქ. არველი საქმის მწარმოებელი კახიძე.

## „ჩოხა ეცვა და თავადი მეგონა.“

(დავით კანდელაკის მკვლელობის გამო)

გახსოვსთ გორის მაზრის საზლაპრო სურათები: ძაღლებს აჭმევდნენ აპარტახებულ ოჯახის წევრებს.

მახსოვს მაშინ, შალვა ამირეჯიბი სწერდა „შეიბრალეთ ძაღლები-“ო.

ახლა სხვა დროა, ჩოხოსნების ხოცვაც დაიწყეს.

შეიძლება მკითხველმა თვალი მოჰკრა გუშინწინ ვერისკენ მიმავალ პროცესიას, მოასვენებდნენ იუსტიციის სამინისტროს სადარაჯო ათასეულის მეოთხე ვუნდის უფროსს კაპიტანს დავით კანდელაკს. იგი ერთაწმინდობას მოჰკლა ადგილობრივ გვარდიის შტაბის თავმჯდომარემ. როდესაც უსაყვედურეს: მას უპასუხია:

„ჩვენი იყო?! რავიცოდი, ჩოხა ეცვა და მე თავადი მეგონაო“

ცინიზმი ამაზედ შორს ვერ წავა.

დამსწრე მოსამძიმრენი საუბრობდნენ: ასეთ მკვლელობას მაინც აღარ უნდა ჰქონოდა ადგილი?

გვარდიის თავმჯდომარეს სწყენია როგორ თუ ეს ჩემს გვარდიელებს თოფის სროლას უშლიო. მოლაპარაკებდენ და შედეგი-ეს შემზარავი სურათი:

ეკლესიის გალავნის გარედ გვარდიელთა რაზმი შტაბის თავმჯდომარის მეთაურობით ჰკლავს იუსტიციის სამინისტროს სადარაჯო ათასეულის მე 4 ეკუნდის უფროს კაპიტანს, მხოლოდ იმ სთვის, რომ მან შეზარხოშებულ გვარდიელებს ჰერში თოფის სროლა დაუშალა. გალავანში მოლოცს სწავლე ხალხია და შეშინდებოდა.

საღამდის უნდა მიახწიოს სიმხეცემ რომ ასე დაასახიჩრონ ადამიანი. ტანი მთლად დაცხრილული იყო ხანჯლით.

ნუთუ მიმშველებელი არვინ აღმოჩნდა?

აბა ვინ გაბედავდა მიშველებას. უპატრონო სოფლის „მაღალ ბატონთა“ წინააღმდეგ გალაშქრება ძნელია.

მეტის თქმა გვგონია აღარ არის საჭირო ამ ალვირ ახსნილ თვითნებობის შესახებ. ალბად მთავრობა ახლა მაინც მიიღებს სათანადო ზომებს ახალქალაქის ბოროტმოქმედთა წინააღმდეგ. რომელთაც ჯერ ისევ ამ ზაფხულს ჩაიდინეს არა ნაკლებ აღმაშფოთებელი მკვლელობა. ეხლა ხომ მკვლელის თქმისა არ იყოს, მოკლული „მათი ყოფილა.“

მაგრამ, ვიდრე ბოროტმოქმედნი დაისჯებოდნენ ვაფრთხილებთ ჩოხოსნებს: „ნუ ივლით ჩოხით! თავადი არავის-ეგონოთ!

კალდელი.

## რკინის გზის უფროსის განკარგულება.

საქართველოს რკინის გზების უფროსმა შემდეგი სასწრაფო განკარგულება გასცა ყველა სამმართველოთა უფროსების სახელზე: სამგზავრო მატარებელთა რიცხვის შემცირების გამო, როგორც მთავარ ლიანდაგზე ისე მათ შტოებზე და იმის გამოცა, რომ მოძრაობაში დატოვებული მატარებლები გაშვებულ უნდა იყვნენ დაწყებით სადგურებიდან განუსაზღვრელ რიცხვით, არავითარი მოსამსახურეთა ვაგონები ამ მატარებლებს არ უნდა მიებას. 2) თბილის, ბათომ და ქუთაისის საქალაქო სადგურებზე საგანგებო განკარგულებამდე აღკრძალულ იქმნა ბილეთების გაყიდვა.

თანახმად ამ ბრძანების ექსპლოატაციის ნაწილის უფროსმა გასცა განკარგულება, რომ მოსამსახურეთა ვაგონის მომზაზე აღარ იყოს აღძრული შუამდგომლობა. ყოველგვარი უფლება ამ ნაირ ვაგონის მომზაზე, 11 ღვინობისთვიდან გაუქმებულად უნდა ჩაითვალოს.

## ეკონომიური ცხოვრება.

### მუხის ქერქის მონოპოლიის შედეგი.

ტყავეულობის დასამუშავებლად, როგორც ვიცით, საჭიროა მუხის ქერქი, რომელსაც, სხვა ქარხნები რომ არ ვიანგარიშოთ, ადელხანოვის ქარხანა წინად წლიურად ხმარობდა 30.000 ფუთამდის, ხოლო ზარგაშიანის ქარხანა 15—18.000 ფუთამდის. ქარხნის ადმინისტრაცია ქერქის უმეტეს ნაწილს შემოდგომისთვის ამზადებდა ზამთარში სამუშაოდ. მთავრობამ მუხის ქერქის დამზადების მონოპოლია ჩააბარა მიწად მოქმედების სამინისტროს, რომელმაც არც თვითონ გააკეთა რამე და არც სხვა შეუშვა ტყე-ში. ამის გამო, როგორც გავიგეთ, ტყავეულობის ქარხნებში მახლობელ მომავალში შეჩერდება მუშაობა.

მიწად მოქმედების სამინისტრო ურჩევს ქარხნებს გადავიდნენ აზიურ, დაბახნების სისტემაზე და იმუშაონ თრიმლით, მაგრამ ყველამ იცის, რომ თრიმლით დამუშავებული ტყავი გამოდის რბილი და ყოვლად უვარგისი.

ქარხნების შეჩერებას ის შედეგი მოჰყვება, რომ ულუკმაპუროდ დარჩება რამდენიმე ათასი სული, ხოლო საქართველომ რამდენიმე ასი მილიონი მანეთის დამუშავებული ტყავი უნდა იყიდოს უცხოეთში, რომელსაც თვითონ გააქვს საქართველოდან ნედლი ტყავეულობა.

აი კიდევ ერთი ნიმუში მონოპოლიისა და უგუნური ეკონომიური პოლიტიკისა.

მ. ა—ლი.

## გაეროვნება მოახდინეს!?

რუსეთის ს.-დ. დემოკ. ბედმა განთავისუფლებულ საქართველოს მთავრობის სავარძელი არგუნა. მათ სძულდათ საქართველოს თავისუფლება. ებრძოდნენ კიდეც. მაგრამ ქართველი ერის მისწრაფება მათ უშინაარსო ლოზუნგზედ უძლიერესი აღმოჩნდა. ულმობელმა ცხოვრების კანონმა თავისი გაიტანა. ამ კანონით, ყოველი ომი ზავითა და მშვიდობიანობით მთავრდება. ს.-დემ. ომიც საქართველოს თავისუფლებასთან მორიგებით დამთავრდა და დამარცხებულ სოც.-დემოკრატიას გამარჯვებულმა ქართველი ერის თავისუფლების იდეამ საზავო პირობები უკარნახა. საკვირველება მოხდა! დამარცხებული სოც.-დემოკრ. თვით ჩაუდგა სათავეში თავისუფალ საქართველოს: მათ უცბად შეიტკბეს და შეითვისეს მინისტრთა სავარძლები. მათ უცბად შეიყვარეს საქართველო, მთელი თავისი ხანგრძლივი ისტორიითა და მომავლით, თავისი სახელიც კი გადმოაქართულეს. ჭეშმარიტად, ნამდვილი ფერისცვალება მოხდა?! ვით გაზაფხულზედ გველმა ჩირგვებში სდვა. ისევე მიატოვა თავისი ტყავი რუსეთის ნანგრევებში. უკანასკნელიდან გამოქცეულნი დიდის რიხით შეუდგნენ ახლად შეყვარებულ საქართველოს აღშენებლობას. თავი ისე დაიჭირეს, რომ გვეგონა, ეს ხალხი ნამდვილი შეგნებით შეუდგებოდნენ ნამდვილ ეროვნულ სახელმწიფოს მოწყობასა. და საქართველოს ცხოვრებიდან თანდათან ამოშლიდნენ იმ უხეშ წერტილებს, რომელნიც მას, რუსეთის ბატონობამ დაასვა.

ისინი შეუდგნენ დაწესებულებათა გაეროვნებას „მარქსისტული“ მეთოდით. დაიწყეს უცხოელების დათხოვნა. გადავიდნენ ქართულ ენაზედ. სტანჯეს იგი თავიანთ პროპაგანდისტთა ხელში. ქართული ენის მცოდნეთ არა სოც.-დემ ხომ ახლოსაც არ იკარებდნენ, გარიყეს საუკეთესო ქართველი მოხელეები. რუს მოხელეებს კი ისევ დაუწყეს თანამდებობებზედ მიღება. და დაწყებულმა გაეროვნებამ უცნაური მიმართულება მიიღო. აღელვებული ქართველი ინტელიგენციის სინიდისი, იმით დაამშვიდეს, რომ წინადადება მისცეს აუცილებლივ რამოდენიმე თვის განმავლობაში ქართული ენა შეისწავლათ. ეს რომ ასე მომხდარიყო, ჩვენ საწინააღმდეგო არაფერი გვექნებოდა, სახელმწიფოს მოქალაქეთ უფლებრივის მხრივ ჩვენ არ ვანაწილებთ ეროვნებათა მიხედვით. მაგრამ უბედურებაც ის არის, რომ მთავრობის წინადადების შესრულება არც კი მოისურვეს სამსახურში დატოვებულმა უცხოელებმა, ისინი ისევ უცხო ენაზე აწარმოებენ საქმეებს, მათ საკუთარი თარჯიმნები ჰყავთ, მათთვის ითარგმნება დაწესებულებაში შესული ყველი ქართული ნაწერი. ახლა ითარგმნება თვით მათი ნაწერებიც, ამით კი შტატი იზრდება, და გაძვალტყავებულ ხაზინას აუარებელი ხარჯი მოსდის. ამ ხარჯებს ვერავითარი მოსაზრება ვერ ამართლებს. ეს პენსიაა საქართველოში დარჩენილ „რუს ჩინოვნიკებისა“, რომელთაც ყოველ დღე და ღამ საქართველოში რუსების კვლავ შემოსვლა ესიზმრებათ. რესპუბლიკის მთავრობამ ყურადღება უნდა მიაქციოს ამ გარემოებას. ქართველ ხალხი მათგან თავიანთ ენაზე საქმის წარმოებას მოითხოვს. ეს უნდა შეასრულოს მთავრობამ და ამით გაძვალტყავებულ ხაზინას „სათარჯიმანო საპენსიო“ ხარჯები ააცილოს.

თბილისის ქალაქის გამგეობამაც მოინდომა ქალაქის გარეგანი სახის გაეროვნება- გამოსცა ბრძანებები, მაგრამ ისიც ისეთივე კომიკურ მდგომარეობაში ჩავარდა, როგორც სხვა დაწესებულებანი.

ვის არ ახსოვს ქალაქის თავის ბრძანება, სავაჭროებზედა და დაწესებულებებზედ წარწერების გადაქართულების შესახებ. ბრძანება სამ თვის ვადას აძლევდა მეპატრონეთ, შემდეგ კი ციხითა და ჯარიმებით ემუქრებოდა. ეს იყო წარსულ წლის ოქტომბერში, მას შემდეგ სრული წელიწადია თბილისის ქუჩებს კი ისევ რუსული წარწერები ამშვენებენ და ქართულ წარწერებს წვრილ უშნოს და შეუფერებელ ადგილას იშვიათად თუ შეხვდებით. განცხადებებზე ხომ ნურას ბრძანებთ: ტრამვაის ვაგონებში თუ ქუჩებში კიოსკის კედლები თავით ბოლომდე რუსულ წარწერებითაა აჭრელებული, როგორც ძველად, ნიკოლოზის დროს. საზოგადოებას სურს იცოდეს, სად გაჰქრა თბილისის მოურავ უფალ ბენიას მაგარ-მაგარი ბრძანებანი, რატომ აღსრულება არ მოჰყვა თუ ბრძანებას არა, მუქარას მაინც?

მაგრამ რა, განა ტყუილად არის ნათქვამი ქართული ბრძნული ანდაზა: „გველი მარტო ტყავს იცვლისო“! მახლას!..

ელიპსი.

## სამხატვრო ქრონიკა

### სობინოვის და სხვ. მოწვევა.

სახელმწიფო თეატრის კომისარმა წუწუნავამ სევასტოპოლში გაგზავნა პეტროგრადის სახელმწიფო თეატრის ცნობილი არტისტი ნ. ხოლიფი ყირიმში გასტროლებზე მყოფ არტისტებ ლ. სობინოვის, ლ. სიბირიაკოვის, ნ. ვოლევიჩის და კონსერვატ. პროფესორ ვ. მეტცალის მოსაწვევად თბ. სცენაზე. ნ. ხოლიფს რწმუნება აქვს შესთავაზოს სიბირიაკოვს 500 ათასი მან. (დონ/ს ფულით) თითო გამოსვლაზე, პირობით რომ კვირაში ორჯელ გამოვიდეს და მის ოჯახს მიეცეს [illegible] მოწყობილობით სიბირიაკოვს 3 გამოსვლა უზრუნველყოფილია კვირაში. სიბირიაკოვის ჩამოსვლა მით აა საინტერესო, რომ „ლალატი“-ს დადგმაა განზრახული ქართულ ენაზე; დირიჟორობას გაუწევს იპ. ივანოვი, რომელიც ამ მოკლე ხანში ჩამოვა თბილისში.

სობინოვის მონაწილეობით დაიდგმის „ვერტერი“, „ევგენი ონეგინი“, „მარგალიტის მაძიებელნი“, „ტრავიატა“ და სხვა ოპერები.

## წერილი რედაქციის მიმართ

თქვენი გაზეთის № 118 ში მოთავსებულია ბ. „ისკანდერ მუნჯის“ ფელეტონი, სადაც სხვათა შორის არის ნათქვამი, თითქო იმ უვარგისს ხორბალს, რომლის შესახებ სწერდა ბ. მთავრობის თავმჯდომარე, მე ვყიდულობდი და ვაძლევდი მეწისქვილეებს.

ვინაიდან ეს ცნობა სავსებით არ შეესაბამება სიმართლეს, ამიტომ გთხოვთ მოათავსოთ შემდეგი ჩემი განცხადება.

1. სასურსათო განყოფილების გამგეთ მე არასოდეს არ ვყოფილვარ. მე ვიყავ მხოლოთ გამგის თანაშემწეთ.

2. 27 ივლისიდან 16 აგვისტომდე მე თბილისიდან გაგზავნილი ვიყავ ჯერ სხვა და სხვა დავალებებით და შემდეგ შვებულებაში. აქ ჩამოვდიოდი მხოლოთ ერთი ორი დღით. ასე რომ ხორბლის ისტორიის დროს წისქვილებზე მე აქ არ ვყოფილვარ.

3. არასოდეს მე არ მქონებია მონდობილი ხორბლის შეძენის საქმე. ხორბალს იძენს მომარაგების სამინისტრო და აძლევს ქალაქის სასურსათო განყოფილებას. ამიტომ ხორბლის ღირსებაში პასუხის მგებელი არის სამინისტრო.

4. მე არ მქონია მონდობილი სპეციალურათ წისქვილების საქმე. ამ საქმეს გამგეობის მიერ სათავეში უდგას განსაკუთრებული პიროვნება—გამგე.

ყველა ამის შესახებ ვრცელი მოხსენება მე უკვე მაქვს გაგზავნილი ბ. მთავრობის თავმჯდომარესთან.

სასურსათო განყოფილების გამგის ყ. თანაშემწე რუხაძე.

სარედაქციო კოლეგია.
მთავარი რედაქტორი: სპ. კედია.

ყოფილი 1 კავკასიის კორპუსის სამხედრო ვეტერინარ-ექიმი

**ი. გ. ქუთათელაძე**

იღებს შინაგან, კანით (ქეცით) ავადმყოფ ოთხფეხ პირუტყვებს და ფრინველებს. ცხენის ქოთაოს (საპს) ვიკვლევ მალეინის შეშხაპუნებით. ქიით ცხვრის ხახული—მილის ავათმყოფობას ვკურნავ „ნეიმანის და ვესსელის“ მეთოდებით. ვიძლევი დარიგებას „ზოოტეხნიაზე“ (საქონლის მოვლა მოშენება). დილის 9—10 საათ. და დღის 2—4 ს.

ბელინსკის ქუჩა № 39, ბინა 2.

თვ. 43

**სამკურნალო**

ელექტრონის რენტგენის და სინათლის

**მიხეილ გედევანიშვილისა**

დღისით 12—2 საათ. საღ. 6—8 საათ. არის საწოლები. ყორღანოვის ქ., 20, ვერაზე.

3102.თვ.

## მატარებლის მიმოსვლა.

### თბილისიდან მიდის.

| | | |
|---|---|---|
| ბორჯომამდის | № 17 | 7. 52 |
| ბორჯომში ჩადის | | 2. 09 |
| ფოთამდის | № 3 | 9. 56 |
| ფოთში ჩადის | | 10. 20 |
| ბორჯომამდის | № 19 | 2. 30 |
| ბორჯომში ჩადის | | 8. 00 |
| ბათომამდის | № 17 | 8. 00 |
| ბათომში ჩადის | | 9. 00 |
| ბათომამდის ჩქარი | № 5 | 11. 44 |
| ბათომში ჩადის | | 11. 27 |
| თელავამდის | | 8. 30 |
| ქუთაისამდის | № 9 | 9. 50 |
| ქუთაისში ჩადის | | 6. 00 |
| სანაინამდის | | 1. 40 |
| სალ-ოღლამდის | | 10. 10 |

### თბილისში მოდის.

| | | |
|---|---|---|
| ბორჯომიდან | № 20 | 12. 30 |
| თბილისში მოდის | | 6. 30 |
| ქუთაისიდან | № 12 | 11. 47 |
| თბილისში მოდის | | 9. 30 |
| ბათომიდან ჩქარი | № 6 | 11. 00 |
| თბილისში მოდის | | 12. 12 |
| ბათომიდან | № 8 | 3. 50 |
| თბილისში მოდის | | 7. 44 |
| ფოთიდან | № 4 | 8. 25 |
| თბილისში მოდის | | 7. 47 |
| თელავიდან | | 7. 00 |
| სანაინიდან | | 11. 30 |
| სალ-ოღლიდან | | 4. 25 |

## ბელგიეთის მომავალი.

ბელგიეთი ხელოვნურად შეკოწიწებული სახელმწიფოა ორი სრულიად დამოუკიდებელი სამთავროსაგან, რომელთაც არც ენით არც რწმენით, არც ტრადიციით საერთოდ არა აქვთ რა, სახელდობრ ვალონიისგან და ფლანდრიისგან. უცხოელი ამ სახელმწიფოში მისვლისას უმალვე შეატყობს, თუ რა ანტაგონიზმია გამეფებული ამ ორის დაუნათესავებელ სამთავროთა შორის. ვალონი, მაგალითად, ფლანდრიაში გავლისას გაცილებით უცხოელად ჰგრძნობს თავს, ვიდრე საფრანგეთში და პირიქით, ფლამანი ვალონიაში გაცილებით უცხოელია, ვიდრე გერმანიაში. და ეს სხვაობა ემყარება არა მარტო რასიულ ნიადაგზე,—კელტურ-გალლურსა და გერმანულზე, არამედ მათი სამშობლოს ბუნებრივ მდებარეობითაც, ასე რომ ერთი თუ მეურნეა, ჭარხალ-კომბოსტოსი და ზეთის სამეფო, მეორე სამთო მადნო და ნახშირის მადაროებითაა მდიდარი, იგი შავი მრეწველი დედოფალია. თუ ვალონის ენა გაფუჭებული ფრანგული ენაა, ფლამანი ფლამანურ ენას გერმანულ ჟარგონათ არ სთვლის, პირიქით, მორის მეტერლინკი და ემილ ვერჰარნი ფლამანურ ენას სთვლიან ნამდვილ ენად რომლის სიმდიდრეს და სირბილეს გერმანული ვერ შეედრებაო.

ბელგიეთის სამწუხაროდ უნდა ითქვას, რომ ამ ორი ერის დამოკიდებულებას ღრმა ნის საფუძველშივე დიდი მატლი ანტაგონიზმ სა. ვალონი გლეხი რომ ფლანდრიაში მიდის, მასხარაობის საგნად ჰხდება და, პირიქით, თუ ფლამანს მოუხდა ვალონიაში გამოვლა, მაშინვე უნდა ელოდეს, რომ არა თუ ენა ჰარტალა ბავშვები, თვით უფროსებიც კი ენის ყოფით და სტვენით ქვასა და გუნდას დააყრიან: „ბაყაყო უ! უ! ბაყაყო!..“

ორგანიული სიძულვილი ფლამანსა და ვალონს შუა ხშირად ფიზიკურ შეურაცყოფაშიც კი გამოიხატება. არა თუ გლეხი, გლეხს მუშა-მუშას, არამედ სტუდენტებშიც კი ფლამანი ვალონს ვერ იგუებს და პირიქით, ვალონი ფლამანს. მახსოვს, მსოფლიო ომის პირველ ხანებში, ვიდრე გერმანელები ბრიუსელს აიღებდნენ, რამდენი ფლამანი სტუდენტი გახდა მსხვერპ. ტლანქი შეურაცყოფისა, ვითომცა სინი გერმან. ჯაშუშები იყვნენ! ამ ხანაგებმა კარგათ იცოდნენ უბედურ გატყვილების ვინაობა, მაგრამ მაინც სარგებლობდნენ დროთი. უბედურებმა მხოლოდ მაშინ მოისვენეს, როდესაც გერმანელები შემოვიდნენ.

ამ ანტაგონიზმის დასაშოშმინებლად გრავალი რეცეპტი გამონახეს ბრძენმა პოლიტიკოსებმა ჯერ ერთი, მოინდომეს, რომ ენა ოფიციალი მთელს სახელმწიფოში უცხოეთელს დაეთმოთ,—უნივერსალურ ენა—ფრანგულისთვის, რომ ფლამანურსა და ვალონურს ენას სამეტოქო აღარა დარჩენოდათ რა. მართალია, ბელგიის კონსტიტუციამ ყოველ დღიურს ცხოვრებაში სრული თავისუფლება მისცა ორთავე ენას მოეხმარათ თავიანთ ბუნებრივ იარაღათ, მაგრამ ტენდენცია ფრანგული ენის გაბატონებისა, რასაც ვალონები უმტკივნეულოდ ეგუებოდნენ, ტყვიასავით ჰხდებოდათ ფლამანებს და პროტესტს პროტესტზე აცხადებდნენ: ჩვენ გვსურს ჩვენს სკოლებში, უნივერსიტეტებში ჩვენს შვილებს მეცნიერებას მშობელ ფლამანურ ენაზე ასწავლიდენო! ვანდე ვივი, მაგალითად, ერთი სახელოვანი ფლამონგანისტი კათოლიკი, ყოფილი ფინეთის ძველი მინისტრი, აი რას ამბობდა პარლამენტში ჯერაც კიდევ 1910 წელს, რომლის შინაარსი თუ სიტყვით—სიტყვამდე არა დაახლოვებით მაინც ასეთი იყო:, რამ რომ ჰგონია პარლამენტს, რომ სამეცნიერო ენათ არ ივარგებს ჩვენი ფლამანური? ნუთუ ჩვენი ენა ისე ღარიბია, რომ უცხოურს უნდა მივმართოთ: იქნებ ფრანგული უფრო ჰარმონიულია: იქნებ ჩვენი ენა საკმაოდ მოქნილი არაა, რომ მეცნიერების შინაარსი ამოსწუროს და გაარკვიოს მშობლიურ ნიადაგზე. ჩვენ მოვითხოვთ, ამიერიდან ჩვენს ქვეყანას დაუბრუნდეს თავისი უფლებები: ფლანდრიას ჰსურს სამშობლო ენაზე ილაპარაკოს სამეცნიერო ტაძარშიც და ყოველ სახელმწიფო დაწესებულებაშიც!

მაგრამ ამას ამბობდა არა მარტო კათოლიკი ვან-დევივი, არამედ სოციალისტთა ერთი თვალსაჩინო ლიდერთაგანი, ჟიულ დესტრე, ჟურნალისტიკის სფეროში ეს ენა წყლიანი და პოეტი კალმოსანი, ვიდრე პუბლიცისტათ დაბადებული, რომელსაც ტყუილად კი არ ჩააბარეს ხელოვნების მინისტრის პორტფელი,—ჰო და აი ეს ჟიულ დესტრე, რომელსაც ვერც კონსერვატორობას და რეტროგრადობას ვერავინ დასწამებს,—ალბერტ მეფეს ზედ ტახტზე ასვლის დღეს აი რა შინაარსის პეტიციით მიჰმართავდა: „მეფევ, ყველა გვირგვინოსანის მოვალეობაა ერის ბედნიერებაზე იზრუნოს და წინასწარ განსჭვრიტოს თუ რა მოელის მას. დიდი წინასწარ მეტყველება არაა საჭირო, რომ ბელგიის მომავალი დიდ უბედურებას დაიტეხს თავს თუ ეხლავე არ ვუწამლეთ. ყველამ ვიცით, რომ ბელგიეთი ხელოვნურად შეკოწიწებული ქვეყანაა. ვიცით, რომ ფლანდრიას ვალონიასთან საერთო არა აქვს რა, მეიცით, მეფევ, ბრძნული გზა ორთავე მხარეს, რომ თავთავიანთს ბუნებრივს კალაპოტში მოექციონ, თორემ... მოვა დრო და შესაძლებელია, იარაღს მოუხდეს ალაპარაკება იქ, სადაც ქვეყნის მართვა-გამგეობის სიბრძნეს ერთი პოლიტიკური ჟესტით შეეძლო ყოველისფერის დაშოშმინება: მაშ მეფევ, ირჩიეთ ორში ერთი,—ან სახელოვან ჰყავთ თქვენი მეფობის პირველი ბრძნული ნაბიჯით ან და პასუხი აგეთ ყველა იმ უბედურებაზე, რაც მომავალში დაატყდება ჩვენს სამეფოსაო! აი, ასე ამბობდა ჟიულ დესტრე ჯერ კიდევ მაშინ, როცა ომი არ იყო ატეხილი და ჩვენებური სოციალ-დემოკრატებიც ჩექმის ქუსლით უმასპინძლდებოდნენ ა. ჯორჯაძეს ავტონომიის ხსენებაზეც კი, მაგრამ მაშინ ალბერტ მეფემ უარჰყო ჟიულ დესტრეს წინადადება, უარჰყო მით უფრო თამამად, რომ მეფის აშკარა ქომაგებად გამოვიდნენ ვანდერველდე და დებრიუკე,—და ვანდერველდეს ხმა ბელგიეთში ხომ თვით მეფის სიტყვაზე მეტსა სჭრიდა!

დღეს უკვე ათეული წელი შეუსრულდა დესტრეს წინასწარ მეტყველებას და მეფისა და ვანდერველდეს კოლექტიურ ცოდვას თითქოს სასჯელი უნდა მოჰყვეს. აი, ფრანგულ გაზეთებში რა ამბებს აქვეყნებენ ბელგიის ჟურნალ-გაზეთებიდან. თურმე იქ ეროვნულ ნიადაგზე ბრძოლა თითქმის აშკარა გამოსვლებით აღნიშნულა. უწინარეს ყოვლისა პარლამენტს მოუსმენია სიტყვა იმავე ვანდერვივისა: „ნება მოგვეცით ჩვენ, ფლამანებს, ჩვენი ფლამანური საქმენი ჩვენ თვითონვე განვაგოთ“. ეს ჩვეული ფრაზა ვანდერვივისა ჰგულისხმობს გარკვეულად ადმინისტრატიულ გამიჯვნას ფლანდრიისას და ვალონიისას: „ჩვენ ვერ მოვითმენთ, რომ ჩვენს ქვეყანაში სრულიად უცხო ფრანგულმა ენამ იბატონოს!“ ვანდერვივს ოპოზიციაში ჩაუდგა მორის ლემონიე ცნობილი ფრანგოფილი, რომელმაც ომის დროს დიდი როლი ითამაშა, რომ ბელგებს შიშველი გვერდით დაეცვათ ლიეჟი და ტევტონები არ შემოეშვათ. დღეს იგივე მორის ლემონიე ამ ადმინისტრატიულ გამიჯვნაში ჰხედავს გერმანელთ პოლიტიკის გამარჯვებას, ვითომც ყველა ეს მათი კარნახითა ჰხდებოდა. მართლა რა ზიზღი უნდა ჰქონდეს ადამიანს მეორისადმი, რომ ასეთი ბრალდება მოახვიოს მეორეს! გერმანელთა სამაყოდ და მორის ლემონიეს სავალალოდ უნდა ითქვას, რომ ამ შემთხვევაში თვით ხალხი დაადგა აქტივობის გზას და პირველი იერიში მიიტანეს განის ფრანგულ უნივერსიტეტების მოსასპობლად...

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ის ღრმა მიზეზები, რომელნიც ერთ დროს ჟიულ დესტრემ წამოუყენა მეფეს ალბერტს, უფრო გაღრმავდებიან და ვერც შეაჩერებენ მათ, ვიდრე ხელოვნურიდან ბუნებრივ გასავალ გზას არ მისცემენ: ფლამანებს ფლანდრია თავიანთ ფლამანურის ენით და მართვა-გამგეობით, ხოლო ვალონებს ვალონია და თუ ნებავთ თუნდა ფრანგული ენა, ეს „უნივერსალური ენა“, რითაც ასე რიგად თავი მოაქვთ მათ. თუ არა და აღსრულდება ჟიულ დესტრეს წინასწარმეტყველება: „დღეს არა, ხვალ იარაღი ალაპარაკდება ეროვნულ სამართლიანობის გადასაჭრელად“.

მეფე ალბერტს და სოციალისტებს ახალი პრობლემა დაუდგა დღიურ წესრიგში, რომლის დაგვიანებით გადაჭრა ბელგეთისთვის შეიძლება სახელმწიფოებრივი კატასტროფით დამთავრდეს.

დ. კ—ძე.